# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 სექტემბერი 2007 №201 (3124) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლაუს ტოპიუმორი: ლუქსემბურგმა მაღალ ევროპას მიგვაახლოვა

## ისე ნუ გაქართველდებით, ჰერ, კლაუსა დაგიძახონ!



ლუქსემბურგთან ვიდეოანალიზის შემდეგ დავასკვენით, რომ მაღალი კლასის გუნდებს თამაშის დონით ვუთანაბრდებით — თქვა გუშინ კლაუს ტოპმიოლერმა.

ჩვენ არ გვინახავს ის თამაში, ვიდეოანალიზის ტექნიკაშიც საქართველოს ნაკრების მწვრთნელზე ნაკლებად ვერკვევით. ჩვენ შეფასების ძალიან მოძველებული მეთოდი გვაქვს, რომელიც ალბათ ჩვენივე ჩამორჩენილობით ყველაზე სწორ მეთოდად მიგვაჩნია. მოძველებული და მარტივი მეთოდია, ყველა რომ იოლად აითვისებს, ისეთი — შეხედე ტაბლოს!

აი, ასეთები ვართ ქართველები, ჩამორჩენილები. შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, ტოპმიოლერის სამშობლო მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობით, ჩვენი სამშობლო კი ოდენ 117-ეზე, ჩვენზე ერთი საფეხურით წინ მავრიკეთია... ჰოდა, რა გასაკვირია, ტაბლოს უფრო რომ ვენდობით. იმ ტაბლოდან კი სულაც ვერ მიხვდები, მაღალი კლასის გუნდებს თამაშის დონით რომ ვუთანაბრდებით.

არ ვიცით, ევებ ცერეუში, კაგებესა თუ მოსადში მენტალიტეტებს შორის სხვაობაც გაზომილი აქვთ, მაგრამ რად გვინდა მათი ყველაფრისმცოდნე აგენტების ანგარიშები, ისედაც ხომ ვხედავთ, რომ კლაუს ტოპმიოლერი ნელ-ნელა იქცევა ტიპიურ ქართველ მწვრთნელად.

კარგად ვითამაშეთ, მაგრამ წავაგეთ; სამი მეტრიდან ვერ გავიტანეთ; პენალტი რომ არ გაგვეცუდებინა; ესა და ეს ფეხბურთელი რომ გვყოლოდა; ერთ ბურთზე მეტით არ წაგვიგია...

ღმერთო, როგორი ძველი და ნაცნობია ეს ფრაზები. ტოპმიოლერი ამბობს, ტვინში სისხლი ჩაგვექცეოდათ, ლუქსემბურგთან გაფუჭებული მომენტები რომ გენახათო. ეჭვიც არ გვეპარება, მაგრამ რა იცის ბატონმა მწვრთნელმა, ჩვენ ამ მობეზრებული ფრაზების გაგონებაზეც რომ გვექცევა ტვინში სისხლი.

აი, უნგრეთმა იტალიას მოუგო — ამბობს ტოპმიოლერი და მიგვანიშნებს, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ იტალია უნგრეთზე ძლიერი არ არისო. ეგრეა, ქოთანს ყურს საიდანაც გინდა, იქიდან მიაბამ. ჩვენ კი იქიდან მივაბათ, საიდანაც უფრო სწორი გვგონია — მუდამ დამარცხებულებს რომ ვედრებით, რა იქნება, ერთხელ გამარჯვებულსაც შევედაროთ და ვთქვათ: უნგრეთმა იტალიას მოუგო, ვენესუელამ — ბრაზილიას, ლატვია ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, ლიტვა გერმანიას ტოლად ეთამაშა, მოდი, ჩვენც მოვუგოთ ვინმეს...

თორემ, იტალია უნგრეთთან რომ დამარცხდა, ჩვენთვის ნუგეში არ არის. არც ის არის ნუგეში, ტოპმიოლერმა ექვსი წლის წინ გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ გაიყვანა და, თუ გნებავთ, არც იმით ვგინუგეშია თავი, ბერლინის კედლის დანგრევაში ქართველმაც რომ მიიღო მონაწილეობა.

ისევ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოსიედან: საქართველო შობადობის დონით ესპანეთს, იტალიას და გერმანიას კი უსწრებს, მაგრამ ფეხბურთელები მაინც იქ იბადებიან და არა ჩვენთან...

# ეს იყო პუერტას თასი

## მოსაგონარს პირველი მილანი დალევს



AFP მონაკოდან

# შილდსმა ყველა ცოდვა დაიდო



ისლანდიაში მოგვეგო, იცოცხლეთ, ფინეთთან ხვალინდელ მატჩს ინტრიგა ექნებოდა, მაგრამ დღეს რეალობა ასეთია და საქართველოს ნაკრები კუთხეში დაყენებული ბავშვივით ხვდება ამ თამაშს. ჯგუფიდან გასვლის შანსი ისეთი მცირეა, რომ ამაზე სერიოზულად ვერც იფიქრებ: ფინეთის დამარცხების შემდეგ ქართველები პარალელურ, A ჯგუფის ბოლო ტურს უნდა დაელოდონ, როდესაც შვეიცარია რუმინეთს მასპინძლობს და სტუმართა გამარჯვებით ჯგუფიდან გავდივართ. საქმეს ის ართულებს, რომ შვეიცარიის გამარჯვებით ორივე გადის პლეი ოფში და საეჭვოა, ამ გუნდებმა ერთმანეთს ომი გაუმართონ.

რაც გინდა იყოს, კენ შილდსი მაინც მობილიზებულია და ფინეთთან მოგებას ეშურება. ის მწვრთნელია და გასაგებია, მაქსიმუმისთვის იბრძვის, თუმც ისლანდიაში წაგების გამო პასუხისმგებლობასაც არ გაურბის. გუშინდელ პრესკონფერენციაზე შილდსმა ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო და მისი კონტრაქტიც შეგვახსენა, რომელსაც რამდენიმე დღეში ვადა გასდის.

# ევროპის სუპერთასი 2007

# ყველაზე მწუხარე და უზეიმო

## მილანი 3:1 სევილია

0:1 რენატო (14), 1:1 ინძაგი (55), 2:1 იანკულოვსკი (62), 3:1 კაკა (87)

*კაკამ ვერ გაიტანა პენალტი (87, მეკარე)*

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო (ემერსონი 73), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (ბროკი 89), კაკა, ინძაგი (ჯილარდინო 89)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ესკუდე (ლუიშ ფაბიანო 83), მარტი (კერჟაკოვი 66), დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი, პოულსენი, დუდა (მარესკა 75), რენატო, ს. კეიტა, კანუტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: გატუზო (6), დუდა (68), პოულსენი (70)

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

20 000 მაყურებელი

წლებს თავისი მიაქვს. დრო გავა და წუხანდელი სუპერთასის ბევრი დეტალი აღარ გაგვახსენდება, მაგრამ ის კი გვეხსომება, რომ ეს ყველაზე მწუხარე და უზეიმო სუპერთასი იყო.

ყველაფერი წესისამებრ ჩატარდა: მონაკოს „ლუი მეორეზე" გასულ ფეხბურთელებს მაისურებზე გვარების გარდა პუერტაც ეწერათ და ტრიბუნებზეც დალუპული სევილიელის პატივმისაგები ტრანსპარანტები გადმოეფინათ — „მილანის" ფანებსაც...

თამაშიც, როგორიც მოსალოდნელი იყო, ისეთი გამოვიდა. თავქუდმოგლეჯილი სირბილი, შტურმი და თავბრუდამხვევი კომბინაციები ცოტა იყო. რომ დავითვალოთ, ოთხი გოლი ხომ გავიდა და, უგოლოდ დასრულებული ნაღდი მომენტი სულ ორი ვნახეთ. პირველი — თამაშის დასაწყისშივე, როცა კლარენს ზეედორფმა ფილიპო ინძაგის სიღრმიდან მისცა ძალიან კარგი პასი, პიპო მცველებს შორის გაძვრა, თავადაც შეეძლო დარტყმა, მაგრამ ჩამოსწრებულმა კაკამ დაასწრო და ბურთი ძელს გაარტყა.

მომდევნო სახიფათო ეპიზოდი კი გოლით დასრულდა, ოღონდ ესეც ვთქვათ: კუთხური, რომელიც გოლით დასრულდა, მარეკ იანკულოვსკის ზედმეტ სიფრთხილეს მოჰყვა. „მილანის" ჩეხმა უმტკივნეულო სიტუაციაში გადააგდო ბურთი კუთხურზე, იქიდან ჩაწოდებული კი რენატომ თავურით გოლად აქცია. რენატოს მეურვეუბა იმ ეპიზოდში მასიმო ოდოს მართებდა.

გოლის აღნიშვნა? მხოლოდ ზეაღმართული ხელები...

თამაში ჩვეულებრივად გაგრძელდა. არც „მილანი" გაქაჩულა უკანმოუხედავად გასათანაბრებლად და სევილიელებსაც ხომ არ გამოსხმიათ ფრთები. მოკლედ, პირველ ტაიმში სათქმელი მეტი არც არაფერი მომხდარა.

„მილანის" სამეორეტაიმო გოლები თუ ნახეთ, უეჭველად დაგვეთანხმებით — უმაღლესი კლასის მოთამაშეების გოლები იყო.

ანდრეა პირლოს სივრცეში — ორ მცველს შორის მოქცეულმა ბურთი შეინარჩუნა და თითქოს ყველა საპასე გზა რომ ამოუქოლეს, ქუსლით მიაწოდა ჯენარო გატუზოს, ვინაც ბრძოლაშივე გაექცა მეურვეს და ზუსტი პასით ინძაგის გაატანინა.

თუ სევილიელთა გოლის მერე თამაშის ხასიათი არ შეცვლილა, მილანელთა საპასუხომ იტალიური კლუბი გააააქტიურა. ხოლო ზუსტ პასზე თუ მიდგა საქმე, პირლოს 30-მეტრიანი განივი ჩაწოდება უზუსტესადაც უნდა მოვიხსენიოთ, რომელიც იანკულოვსკიმ ერთშეხებიანი მიღება-დამუშავება-დარტყმა-გოლით დაასრულა — 2:1.

ამის მერე ძნელად წარმოსადგენი იყო, ესპანელებს მატჩი გადაერჩინათ და ამის ერთი მიზეზი ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო — კახა კალაძის უშეცდომო თამაშიც იყო. ხოლო როცა „სევილიამ" წამატებულ დროში თავისი მეორე სახიფათო მომენტი შექმნა, ყველაფერი უკვე ნაღდად გარკვეული გახლდათ — კაკას პენალტით მესამე გოლი უკვე გატანილი ჰქონდა.

პენალტი კი იოლად არ გასულა: კაკას დარტყმული ანდრეს პალოპს სახეში მოხვდა და ბედად თუ უბედობით, ისევ კაკას მიუვიდა. თავური და, „მილანმა" ბოლო ოთხ წელიწადში მეორედ მოიგო ევროპის სუპერთასი.

ბოლოს თასის აღმართვა იყო. როგორც თავშივე ვთქვით, სიხარულის ძალიან ზომიერი დოზით.

**კოტა ძიძილია**



კაკას იღბლიანი „ორმაგი" პენალტი

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. I წრე. 4 ტური

ზესტაფონი. 31 აგვისტო. 16.30. საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

### ზესტაფონი 5:0 ლოკომოტივი

1:0 ჭელიძე (48), 2:0 გოცირიძე (50), 3:0 იონანიძე (62), 4:0 ონიანი (70), 5:0 ვიეირა (78)

*ფიფიამ ვერ გაიტანა პენალტი (33, ძელი)*

ზესტაფონი: ჭანტურია (რ. კვასხვაძე 74), თოდუა, საჯაია, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, ფონტესი, კესანი, ვიეირა, ფიფია (ბენაშვილი 66), გ. ჭელიძე (იონანიძე 54), ბ. გოცირიძე

სათადარიგონი: ლონდაძე, ნ. კვასხვაძე, დაუშვილი, ლობჟანიძე

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ლოკომოტივი: გვარამაძე, ფოფხაძე, გ. კვახაძე (ბარბაქაძე 81), გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, მალიჩავა, ლალაძე, ი. სამხარაძე (ალავერდაშვილი 74), გულორდავა, ყენია, გ. მიქაძე (იმედაძე 66)

სათადარიგონი: ცერცვაძე, ქუხილავა, ა. კობიაშვილი, ელენტი

მწვრთნელი: ზაზა ზამთარაძე

გაფრთხილება: ყენია (27), ჭელიძე (52), საჯაია (59), ლალაძე (71), მალიჩავა (84)

მსაჯები: ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, კ. ბერიძე, ი. ურუშაძე

დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

# ლოკოლაფსი

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

„ლოკომოტივი" ზესტაფონში მთავარი მწვრთნელის, გიორგი კიკნაძის გარეშე ჩავიდა, გუნდი საამმატჩოდ ზაზა ზამთარაძემ მოამზადა.

უპირატესობა, პირველიდან ბოლო წუთამდე, „ზესტაფონისა" იყო. მე-15 წუთზე ჟილვან ვიეირამ მარცხნიდან ჩააწოდა, გოგი ფიფიამ ყველას კი დაასწრო, თუმცა კარს ააცილა.

24-ე წუთზე ლევან ყენია საჯარიმოს ურტყამს, ააცილა და ბარემ აქვე ვთქვათ: ლევანმა ამ შეხვედრაშიც მიიღო ყვითელი ბარათი, ამჯერად არა მსაჯთან კამათისთვის: მეტოქე უკნიდან მოცელა.

33-ე წუთი: ფიფიამ ვიეირას, მან გიორგი ჭელიძეს გადააწოდა საჯარიმოში და ლერი ხოხონაშვილმა „პაჭელო" მოცელა — პენალტი. ფიფიამ ბურთი ძელს გაარტყა.

მეორე ტაიმში კი „ზესტაფონმა" „ლოკომოტივის" კარი გოლებით ამოავსო. თბილისელებმა საწყის წუთებშივე გაუშვეს ორი ბურთი. ვიეირამ მოედნის კიდეზე მიუსწრო ბურთს და საჯარიმოშიც ჩააწოდა, იქ კი ჭელიძემ ივარგა და თავით გაიტანა.

ორ წუთში ჭელიძემ ბექა გოცირიძე შეატოვა დაეით გვარამაძეს და 2:0.

ჭელიძე ზურაბ იონანიძემ შეცვალა და როგორ იქნებოდა, „იონას" არ გაეტანა: კახა ჩხეტიანის ჩაწოდებულს თავური მიაყოლა და „კროვნული" გოლების ყველაზე დიდი ნუსხა კიდევ ერთით გაზარდა — 204! იონანიძემ როინ ონიანსაც გაატანინა, „ლოკომოტივის" რბევა კი ვიეირას გოლით დასრულდა: ბრაზილიელმა კარგა მანძილი მარჯვედ გაირბინა და გვარამაძეს ახლო კუთხეშიც გაუტანა.

ამ შეხვედრას თვალყური კლაუს ტოპმიოლერის თამადობით ასაკობრივ ნაკრებთა მწვრთნელებმაც ადევნეს. ნამატჩევს ტოპმიოლერი ლაკონიური იყო: პირველი ტაიმი ვერ ვარგოდა, მეორეში კი „ზესტაფონს" არაუშავდაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ამერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |
| მერანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |

### საფრანგეთი

II დივიზიონი. VI ტური

ამიენი 0:2 ნიორი
ანჟერი 2:1 ვენგამი
ბრესტი 1:0 ლიბურნი
შატორუ 1:3 ტრუა
კლერმონი 0:0 გრენობლი
ლე ავრი 4:1 ვენიონი
სედანი 1:1 ბულონი
მონპელიე 1:0 აიაჩო
რეიმსი 0:1 დიჟონი

### პოლონეთი

I ლიგა. VI ტური

სოსნოვიცი 3:1 იაგელონია
ზაგლები 0:2 ლეგია

### რუსეთი

პრემიერლიგა. XXIII ტური

დინამო 3:1 ტომი
მოსკვა 1:0 ნალჩიკი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXIV ტური

ბრეი 0:3 ბოჰემიანსი
კორკი 0:0 გალვეი
სენტ პატრიკსი 4:1 უოტერფორდი
შემროკი 0:1 ლონგფორდი

### ავსტრია

ბუნდესლიგა. IX ტური

ალტახი 2:2 ლინცერი

I დივიზიონი. VII ტური

შვადორფი 2:4 შვანენშტადტი
აუსტრია (მ) 5:1 ზალცბურგი (მ)
კაპფენბერგი 4:1 გრატკორნი
პარნდორფი 4:0 კერნტენი
ბად აუზეე 2:5 ლეობენი

### გერმანია

ბუნდესლიგა. IV ტური

შალკე 1:1 ლევერკუზენი

II ბუნდესლიგა. IV ტური

ოფენბახი 1:0 აუგსბურგი
კობლენცი 2:2 ლაუტერნი
მიუნხენი 1:1 კიოლნი

სამხრეთ რეგიონალლიგა. VI ტური

როიტლინგენი 1:1 ბურგჰაუზენი
აალენი 1:2 შტუტგარტი (მ)
ინგოლშტადტი 2:2 ზიგენი

### ბელგია

იუპილერლიგა. V ტური

შარლერუა 3:1 მონსი

### იტალია

სერია B. II ტური

გროსეტო 0:1 ბრეშა

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. III ტური

ალკმაარი 3:0 ექსელსიორი

II დივიზიონი. V ტური

ემენი 1:1 მაასტრიხტი
დენ ბოსხი 4:2 კამბური
დორდრეხტი 1:0 როზენდალი
ეინდჰოვენი 2:2 ალმერე
სიტარდი 2:0 ვეენდამი
იგლსი 4:0 აპელდორნი
ვალვაიკი 2:1 ჰელმონდი
ტელსტარი 0:1 ზვოლე
ოსი 0:2 ვოლენდამი

### პორტუგალია

სუპერლიგა. III ტური

ლეიშოეში 2:2 გიმარაეში

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. VIII ტური

გოსაუ 0:0 შაფჰაუზენი

### თურქეთი

სუპერლიგა. IV ტური

ბურსა 1:1 ტრაბზონი

### ინგლისი

კონფერენსლიგა. VI ტური

ვეიმუთი 2:2 კემბრიჯი


ფეხბურთი

თბილისი – ამერი

უმაღლესი ლიგა. მეოთხე ტური

2 სექტემბერი

ამერი — სიონი

თბილისი ბოლნისი

დასაწყისი 16 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

პირველი 150 მყიდველი ბილეთთან ერთად პროფესიული ფეხბურთის ლიგის ლატარიის ბილეთს მიიღებს




სარბიელელები
ვულოცავთ
გიორგი ბიკაშვილს და თამუნა ჭიკლაურს
მეორე შვილის
სანდროს დაბადებას



# ეროვნული!

## ეროვ-ნულების ჰერ-ოვნული ანალიზი

ლუქსემბურგთან ამხანაგურ მატჩში ნამეტანი „ამხანაგურმა“ შედეგმა ისედაც დაზაფრული ქართველი გულშემატკივრები უარეს დღეში ჩააგდო — ბევრია ისეთი, არანაირი მომავლისა რომ აღარ ეიმედება. როცა ლუქსემბურგის, სან მარინოს, ლიხტენშტაინისა და ამათ „საძმაკაცოს“ ავშორდებით, აი, მაშინ კი შეიძლება პროგრესზე ლაპარაკი და არა ახლა. როგორია, საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე პირდაპირ თქვა, თამაშში წინსვლა შეიმჩნევა, ცოტაღა გვაკლია და ევროპული ფეხბურთის სტანდარტებს მივუახლოვდებითო. რაღა უნდა თქვა...

8 სექტემბერს თბილისში საქართველო — უკრაინის ევროშესარჩევი მატჩია, 12-ში კი ამხანაგურად აზერბაიჯანს ვეთამაშებით. ამ თამაშებისთვის ტოპმიოლერმა პრესკონფერენციაზე 24-კაციანი შემადგენლობა დაასახელა და აქედან 5 ფეხბურთელი ეროვნული ჩემპიონატიდანაა: „დინამოს“ მეკარე გიორგი მაკარიძე, ნახევარმცველები სანდრო კობახიძე და გიორგი მერებაშვილი, „ლოკომოტივის“ შემტევი ლევან ყენია და „ამერის“ ფორვარდი დიმიტრი ტატანაშვილი. ამ ხუთეულიდან კობახიძის გარდა ყველა დებიუტანტია — სანდროსაც მხოლოდ ერთხელ, ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში უთამაშია რამდენიმე წუთი.

სამაგიეროდ, ლუქსემბურგული შემადგენლობიდან ნაკრებში აღარ გამოიძახეს ლადო ბურდული, დავით მუჯირი, ალეკო ამისულაშვილი, ვასილ გიგიაძე, დავით კვირკველია და ზურაბ ხიზანიშვილი — „ხიზანა“ დისკვალიფიკაციის გამო არ იქნება უკრაინასთან.

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია (კარპატი, უკრაინა), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (დინამო);*

***მცველები:*** *კახა კალაძე (მილანი, იტალია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), ილია კანდელაკი (კარლ ცაისი, გერმანია);*

***ნახევარმცველები:*** *ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ლევან ცქიტიშვილი (უგუნდო), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), გიორგი მერებაშვილი (დინამო), სანდრო კობახიძე (დინამო), ლევან ყენია (ლოკომოტივი);*

***თავდამსხმელები:*** *გიორგი დემეტრაძე (არსენალი, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით სირაძე (პადერბორნი, გერმანია), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი), ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა).*

ახლა კი, მივყვეთ პრესკონფერენციას, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა და ტოპმიოლერის გარდა სამივე ასაკობრივი ნაკრების გერმანელი მწვრთნელებიც ესწრებოდნენ. ცხადია, ნოდარ ახალკაცმაც ილაპარაკა, „სეფე-სიტყვა“ კი ჰერ კლაუსისა იყო.

— უკრაინასთან მატჩს დიდი მოლოდინით ვხვდებით. მათთან სტუმრად კი წავაგეთ, მაგრამ კარგად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები გვერდს ვერ უვლის იმ პრობლემას, რასაც ფეხბურთელთა არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა ჰქვია. ეს ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი საფიქრალია.

– ლუქსემბურგთან ვიდეოანალიზის შედეგად დავასკვენით, რომ მაღალი კლასის გუნდებს თამაშის დონით ვუთანაბრდებით. თუმც არის ხელისშემშლელი მიზეზებიც, რათა ბოლომდე გავუთანაბრდეთ: ყველა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რომ ნაკრებში სრული მობილიზება, პროფესიონალური მიდგომაა საჭირო. ეს კი პრობლემად გვექცა. შოთა არველაძე ნაკრების ბომბარდირი გახლდათ და მის გარეშე ძალიან გვიჭირს. საქართველოს ნაკრებისთვის შოთას გამოკლება იგივეა, რაც არგენტინისთვის დიეგო მარადონას გამოკლება.

... თავდასხმაში სირაძის, იაშვილისა და ტატანაშვილის მეიმედება. საწყენია, რომ „ემპოლის“ ფორვარდი ლევან მჭედლიძე დაგვაკლდა ტრავმის გამო, ასევე მძიმედაა დაშავებული რატი წინამძღვრიშვილიც. ლაშა ჯაკობია ლუქსემბურგშიც იყო და ახლაც გამოვიძახეთ: მას ბევრი გაუცდა ტრავმის გამო და უკრაინასთან თუ არა, ალბათ პირველივე წუთიდან დავაყენებ აზერბაიჯანთან. რაც შეეხება ლევან ყენიას, ჩვენ არ გვინდა, მას დიდი ტვირთი ავკიდოთ, მაგრამ მისი ტალანტი შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს და საჭიროდ ჩავთვალე, ნაკრებში მეხმო. საერთოდ, ჩემი საქართველოში ჩამოსვლიდანვე ვამახვილებდი ყურადღებას 17 და 19-წლამდელ ფეხბურთელებზე. აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზე დაკვირვებას გავაგრძელებთ და უახლოეს ტურში თუ ვინმე თავს გამოიჩენს, აზერბაიჯანთან თამაშის საშუალება მიეცემა.

— მაღალი დონის გუნდებს ვუთანაბრდებითო, თქვით. რა გაძლევთ ამის საფუძველს, როცა ნაკრებმა ბოლო თამაშებიდან თითქმის ყველა წააგო?

— პირველ რიგში, არ დაგავიწყდეთ, საიდან ავიღეთ სტარტი. ჩვენ ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ დაცვის თამაშს, ანუ ეს ხაზი ემსგავსება იმას, როგორიც მე წარმომიდგენია. რომ გენახათ ლუქსემბურგთან თამაში, ტვინში სისხლი ჩაგექცეოდათ — სამი-ოთხი მეტრიდან გაცუდებული მომენტები, პლუს პენალტის ვერგატანა... ჩვენ თითქმის ყველა თამაში ერთი ბურთით წავაგეთ, ესეც გასათვალისწინებელია.

— ყენია ჯერ 16 წლისაა. შესაძლოა, მან უკრაინასთან ითამაშოს?

— შარშან 17-წლამდელთა შესარჩევ მატჩებს რომ ვუყურეთ, მაშინვე ვთქვით, რომ ამ გუნდში სამი დიდი ტალანტი იყო: მაკარიძე, მჭედლიძე და ყენია. მას მერე ყენიამ 19 და 21-წლამდელებშიც ითამაშა და ყველგან საუკეთესო იყო. არ არსებობენ ასაკოვანი და ახალგაზრდა ფეხბურთელები, არსებობენ კარგი და ცუდი ფეხბურთელები, ლევანი კი ნაღდად კარგი მოთამაშეა. საერთოდ, სპორტის ყველა სახეობაში შეიმჩნევა გაახალგაზრდავება და ასეა ფეხბურთშიც. შეცდომები ყველას მოსდის, მაგრამ მისი გამოსწორებაა მთავარი, ნაკრებში კი გამოცდილ ფეხბურთელებსაც რომ ვუთითებთ შეცდომებზე, მეორედაც იგივეს იმეორებენ. ზერელე დამოკიდებულება კი არავის წაადგება.

— რას მოიმოქმედებთ ასეთი ფეხბურთელების მიმართ?

*ნოდარ ახალკაცი:* ასეთი ფეხბურთელებისთვის მეტი სასჯელი რაღა უნდა იყოს, ნაკრებში არ იქნებიან გამოძახებულნი. რა თქმა უნდა, მათზე საბოლოოდ არ ვამბობთ უარს, მაგრამ უნდა დაფიქრდნენ და პროფესიონალურად მიუდგნენ საქმეს.

სიაში საკმაო ცვლილებებია და მიხვდებით, რომელ ფეხბურთელებზეა ლაპარაკი.

— საინტერესოა: ფეხბურთელებს ურუგვაისთან და თურქეთთან ამხანაგურებში თუ ჰქონდათ პატრიოტიზმი, ახლა აღარ აქვთ?

*ახალკაცი:* აქ პატრიოტიზმზე ნაკლებად, უფრო პროფესიონალიზმზეა ლაპარაკი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნაკრებში იძახებენ იმ ფეხბურთელს, რომელიც თავს დადებს მინდორზე. ვარჯიშზე ათმეტრიან სირბილზე [illegible] რთელი შვიდი მეტრით ჩამორჩება მეორეს, [illegible] და კიდევ, შოთა არველაძე წავიდა და თამაშს ვერ მოვიგებთო, ეს არავის უთქვამს. ფარერებზე რომ შოთამ სამი გოლი გაიტანა, მაშინვე ვიცოდით, რომ ერთ დღეს ის ნაკრებს დაემშვიდობებოდა. ამიტომაც ვარჩევთ ახალგაზრდებს, რათა მომდევნო შესარჩევ ციკლში გამოგვადგნენ, თორემ დღეს ტატანაშვილი და სირაძე რომ არველაძეს სრულფასოვნად ვერ შეცვლიან, კარგად ვიცით.

— შესარჩევში მეექვსე ადგილზე ვართ და მხოლოდ უქულო ფარერებს ვუსწრებთ. გაქვთ იმის თუნდაც პატარა იმედი, რომ 2010 წლის მუნდიალზე გასვლისთვის ვიბრძოლებთ?

*ტოპმიოლერი:* ძალიან ბევრია დამოკიდებული შემადგენლობაზე. კალაძისა და კობიაშვილის არყოფნა უკვე დიდი დანაკლისია ჩვენთვის. იყო მატჩები, როცა 5-6 წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. იტალიამ პირველივე კარში დარტყმით გაგვიტანა, მოვახერხეთ და ანგარიში გავათანაბრეთ, 60 წუთი ტოლ-სწორი თამაში იყო და ამ დროს მსაჯის შეცდომის გამო 10 კაცით დავრჩით. შოტლანდიასთან ბოლო წუთზე წავაგეთ, უკრაინამ სამივე გოლი ისეთი გაგვიტანა, კალაძე რომ გვყოლოდა, დარწმუნებული ვარ, არ გავუშვებდით.

...ისიც უნდა ვთქვა, რომ ლუქსემბურგთან ჩვენი თამაშის პარალელურად იტალიამ 1:3 წააგო უნგრეთთან. აგვისტოში სეზონი ბევრგან არაა განახლებული, ფეხბურთელები სრულ მზადყოფნაში არ არიან, თუმც ამით ნამდვილად არ ვამართლებთ ლუქსემბურგულ ფრეს. ყველა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რომ ნაკრებში ადგილი გარანტირებული არა აქვს. კალაძე რომ კალაძეა, ის ნაკრებში თავისი თამაშით და პროფესიონალიზმით ამტკიცებს, რომ თამაშის ღირსია. თუ კალაძე ჩვეულად ვერ თამაშობს, ის ცხოვრებაში კალაძედ კი რჩება, მაგრამ მინდორზე კალაძე აღარაა.

— სასექტემბრო მატჩებისთვის შეკრება როდის დაიწყება?

— ჩვეულებრივ, ტური რომ დაუმთავრდებათ ლეგიონერებს, თბილისში ჩამოვლენ. სამშაბათიდან უკვე სრული შემადგენლობით ვივარჯიშებთ.

**ილია ნანობაშვილი**



გიორგი მაკარიძე



ლევან ყენია



გიორგი მერებაშვილი



სანდრო კობახიძე



დიმიტრი ტატანაშვილი

# დათუნაშვილი გალისა

ფეხბურთის გულშემატკივრებს კერპები გამორჩეულად ახსოვთ. მიხეილ მესხი ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა დღემდე განუმეორებელი ფინტებით, ზაურ კალოევი — თავური დარტყმებით, მურთაზ ხურცილავა — შეუვალი დაცვით, ხოლო ილია დათუნაშვილი — მოსკოვის ტორპედოელთა კარში, პირდაპირ კუთხურიდან ჩახვეული ბურთით და კიდევ ერევნის „არარატთან" გატანილი ხუთი უპასუხო გოლით.
იმ მატჩის შემდეგ ხუმარა თბილისელები თუკი ვინმე სომეხი მეზობლის გაქილიკება უნდოდათ, ტელეფონით ურეკავდნენ და ეკითხებოდნენ: „უკაცრავად, ეს დათუნაშვილის ბინაა?" მავანმა, თბილისი-ერევნის სამგზავრო მატარებელს დიდი ასოებით დააწერა. „დათუნაშვილი 5:0", ხოლო ერევანში თურმე ბავშვები ფაფას რომ არ ჭამდნენ, ჩვენი ფეხბურთელით აშინებდნენ: „დათუნაშვილი გალისა" — ჭამე, თორემ დათუნაშვილი მოდისო.
დღეს ბატონი ილია იუბილარია, 70 წელი შეუსრულდა და მილოცვის შემდეგ მასთან საუბარიც სწორედ თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" 1966 წლის 22 სექტემბრის მატჩით დავიწყეთ...





ილია დათუნაშვილის მეხუთე გოლი ერევნის „არარატის" კარში

— ბატონო ილია, მაინც რა მოხდა იმ დღეს, ასე რამ გაგამწარათ, რომ მხოლოდ თქვენ გაიმეტეთ მეტოქე? იქნებ ჩემპიონატის პირველ წრეში ერევანში 0:1 დამარცხება გეწყინათ, ან ეგებ ცუდად გიმასპინძლეს სომეხმა ფეხბურთელებმა?

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ეს ფეხბურთია და ჩვეულებრივად ვთამაშობდით. უბრალოდ, იმ მატჩში ისე მოხდა, რომ ყველა ხელსაყრელ სიტუაციაში მე აღმოვჩნდი საჭირო დროს და გავიტანე კიდეც. სხვათა შორის, მეექვსე მომენტიც მქონდა, კართან სულ ხუთ მეტრში მივიღე ბურთი, მაგრამ ალექსი ილიადი გამომიხტა, დაარტყა და ძელს მოარტყა. რა ქენი-თქო, რომ ვკითხე, მიპასუხა, აბა, სულ შენ ხომ არ უნდა გაიტანოო...

თავად ერევნელებთან ძალიან თბილი და კარგი ურთიერთობა გვქონდა. ზოგთან ვძმაკაცობდით, ზოგთანაც, ვმეგობრობდით.

— თუ მეგობრები იყავით, რატომ არ დაინდეთ ისინი? 3:0 რომ გახდა, ცხადი იყო, „დინამო" გაიმარჯვებდა.

— როცა ხელსაყრელი მომენტი გაქვს, უნდა გამოიყენო, ფეხბურთის წესი ასეა. თამაშის დროს ბოლომდე უნდა დაიხარჯო, მატჩის შემდეგ კი ჩვენ შორის ჩვეულებრივი ურთიერთობა გრძელდებოდა.

— მომდევნო სეზონში ერევანში რომ ჩახვედით, როგორ შეგხვდნენ ტრიბუნები?

— ჩვენი გუნდი რომ გამოდიოდა, ხალხი წამოიშალა და ყიჟინა და სტვენა ატყდა, მაგრამ შემადგენლობის გამოცხადებისას სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. სომხურად აცხადებდა დიქტორი და ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. შოთა იამანიძემ იცოდა სომხური და მითხრა:

იცი, რატომ გაჩუმდა ხალხი? უნდათ, გაიგონ, რა ნომრით თამაშობო.

მართლაც, ნომერი 8 და ჩემი გვარი რომ გამოაცხადეს, ატყდა, მაგრამ რა ატყდა?! ტრიბუნების „ლოცვა-კურთხევა" უკვე ყველასთვის გასაგები იყო.

**— თუ არ ვცდები, „არარატის" კარში იმ ხუთი ბურთის მეტი არც გაგიტანიათ. წესით, ხუთივე უნდა გახსოვდეთ.**

— ხუთივე მეორე ტაიმში შევაგდე სულ 27 წუთში, სამხრეთის კარში, მაგრამ ეს მარტო ჩემი დამსახურება არ იყო. შესანიშნავი თანაგუნდელები მყავდა, სამი ბურთი სლავა მეტრეველის წამოწყებული კომბინაციით გავიტანე, ჩინებული პლეადა იყო: მიშა მესხი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამნაძე, სიომა ბარქაია... რომელი ერთი ჩამოვთვალო?! მე, საერთოდ, სხვადასხვა თაობების შედარების წინააღმდეგი ვარ. ჩვენამდეც და ჩვენ შემდეგაც დიდი ოსტატები თამაშობდნენ „დინამოში", საბჭოთა ნაკრებშიც გამოდიოდნენ, თუმცა, ჩემი აზრით, 60-იანი წლების დინამოელები საუკეთესონი იყვნენ.

**— მოდით, ბატონო ილია, სამთა ტურნირი ჩავატაროთ. „დინამო"-64; „დინამო"-81 და საქართველოს დღევანდელი ეროვნული ნაკრები. ვინ გაიმარჯვებდა?**

— ნურავინ მიწყენს და მე ვფიქრობ, „დინამო"-64. ეს ჩემი აზრია. ამის საფუძველს კი იმ პერიოდის ფეხბურთელების ოსტატობა მაძლევს. და არა მარტო ქართველების. ავიღოთ პელე, გარინჩა, დიდი, ეუსებიო... ამათზე. უკეთ ვინ თამაშობს დღეს?! ისინი სხვა დონის ვარსკვლავები იყვნენ. საბჭოთა კავშირშიც ძლიერი ფეხბურთელები იყვნენ.

ჩვენი გუნდის მატჩებზე, ვთქვათ „არარატთან", კიევის „დინამოსთან", მოსკოვის „სპარტაკთან", „ტორპედოსთან", ტრიბუნები ვერ იტევდა გულშემატკივრებს. მაშინ ბილეთის შოვნა იყო მთავარი პრობლემა. ყველას ჰყავდა კარგი ფეხბურთელები. დღეს კი შეგნებულად არ დავდივარ სტადიონზე. გაზეთებში ვკითხულობ, რომ „დინამოს" თამაშს 200 მაყურებელი დაესწრო. გული მეტკინა, რომ გავიგე, თბილისის „დინამოში" ზანგი ფეხბურთელი მოიწვიესო. ნაციონალისტი ნამდვილად არ ვარ, არც ზანგების საწინააღმდეგო მაქვს რამე, მაგრამ ბორის პაიჭაძის, ბასა ღოღობერიძის, მიხეილ მესხის, რამაზ შენგელიას, ალექსადრე ჩივაძის, დავით ყიფიანის და სხვა ჩინებული ქართველი ფეხბურთელების „დინამოს" ეს არ ეკადრება. ჩვენი „დინამო" ყოველთვის ეროვნული გუნდი იყო...

**— ბოლო ოცი წელია, არა მარტო თბილისის „დინამოს", არამედ მთელ ქართულ ფეხბურთს უჭირს. არა მგონია, ოც წელიწადში ჩვენს ერს ფეხბურთის თამაშის ნიჭი დაეკარგა. ესე იგი, კრიზისის მიზეზი სხვა რამაა...**

— იცით, მე მგონი, ეროვნულობიდან ფინანსებზე, დიდ ფულზე გადავედით და ამან იმოქმედა უარყოფითად. გაიხსენეთ, რამდენი ფეხბურთელი გაიყიდა „დინამოდან". რადგან გაიყიდა, გამოდის, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები გვყოლია, მაგრამ სად წავიდა ის მილიონები?

არ მინდა გვარების დასახელება, ისე გეტყვით. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს სწორედ ტრანსფერების საკითხს განიხილავდნენ მასთან. „დინამოს" ხელმძღვანელობასთან ერთად ვეტერანი ფეხბურთელებიც დაგვიბარეს. მოხსენების დროს გაირკვა, რომ ფეხბურთელების გაყიდვით შემოსული ერთობ სოლიდური თანხა შვეიცარიის ბანკებში გადაირიცხა, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ „დინამოს" არც შვეიცარიის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის ბანკებში ანგარიში საერთოდ არ აქვს გახსნილი. აბა, სად წავიდა ის ფული, თავად კლუბს რატომ არ მოხმარდა?!

მიზეზი სხვაც არის. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან თბილისის ეზოები გარაჟებმა წალეკა. დღევანდელი თაობის ფეხბურთელებს სწორედ იმ პერიოდში უნდა ეგორავებინათ ეზოში ბურთი, მათ კი ამის საშუალება არ ჰქონდათ. ქუჩის ფეხბურთი ბევრ რამეს აძლევდა ბავშვებს. იქ თავისთავად ითვისებდნენ რაღაც ფინტებს. დღეს თბილისში ბევრი ასეთი მოედანი მოეწყო: ძალიან კარგი საქმეა. პოლიტიკისგან შორს ვარ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სპორტისთვის დღეს გაცილებით მეტი კეთდება, ვიდრე 10-15 წლის წინ. ამიტომ, ათასნაირი უკუღმართობის ნაცვლად ფეხბურთს გაჰყვებიან მოზარდები, იქნებ ტალანტებიც გამოჩნდნენ მათ შორის.

**— ფეხბურთში, საერთოდ სპორტში, წარმატების მისაღწევად ერთი ფორმულა არსებობს: ნიჭი, შრომა, კარგი მწვრთნელი და ფორტუნა. ამ ოთხი კომპონენტიდან ყველაზე მეტად რომელი ფიგურირებდა თქვენს კარიერაში?**

— პირველ რიგში, შრომა. ალბათ ნიჭიც მქონდა გარკვეული დოზით და ცოტა იღბალიც. ამ უკანასკნელსაც აქვს მნიშვნელობა. ბევრს შეეძლო ფეხბურთის თამაში, მაგრამ არ გაუმართლათ. მაგალითად, მიშა მესხის ნაცვლად, როცა ის თავისი სპორტული ფორმის პიკში იყო, ვის შეეძლო მისი შეცვლა?

**— თუმცა ერთხელ თქვენ შეცვალეთ მიშა მარცხენა ფრთაზე.**

— იმ პერიოდში მესხი საბჭოთა ნაკრებში იყო გამოძახებული და მის პოზიციაზე მე ვითამაშე. რიგაში გვქონდა მატჩი, ადგილობრივ „დაუგავასთან", შეხვედრის რადიორეპორტაჟი კი ეროსი მანჯგალაძეს უნდა წაეყვანა. ეროსი მიშას დიდი გულშემატკივარი იყო და ვერც წარმოედგინა, რომ მის ნაცვლად მარცხენა ფრთაზე ვინმე ითამაშებდა.

მატჩის წინა საღამოს ზაურ კალოევთან სასტუმროს ნომერში შევედი, ეროსიც იქ იყო. მეუბნება, მიშას შემდეგ, ხომ იცი, ძნელია თამაში, აბა, შენ იციო.

სხვათა შორის, კარგად ვითამაშე, გოლიც გავიტანე და 3:0 მოვიგეთ. თბილისში რომ ჩამოვედით, მეგობრები მეკითხებიან, ილო, რიგაში არ ყოფილხარო. გამიკვირდა, რას ქვია, არ ვყოფილვარ?! გოლი ხომ გავიტანე?! თურმე ეროსის რეპორტაჟის დროს ერთხელაც არ უხსენებია ჩემი გვარი. როგორც ჩანს, სხვა ფეხბურთელი ვერ აღიქვა მიშა მესხის მაგივრად. ეროსი და მიშა დიდი მეგობრები იყვნენ. ორივე დიდი ტალანტი იყო.

ნიჭიერი ბიჭები ახლაც საკმარისად არიან საქართველოში, მაგრამ მარტო ნიჭი არ კმარა. შრომისმოყვარე უნდა იყოს ფეხბურთელი და კიდევ — გამოცდილი მწვრთნელის ხელია საჭირო.

**— ესე იგი შრომისმოყვარეობა და კარგი მწვრთნელები გვაკლია?**

— ეგრეა, კარგი მწვრთნელი კი საქმეს ისეააწყობს, მთელმა გუნდმა სრული დატვირთვით ივარჯიშოს და შედეგსაც მიაღწევს.

**— NBA-ში აქვთ „კალათბურთის დიდების დარბაზი", რომლის წევრებიც მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულები ხდებიან. საქართველოში რომ გვქონდეს „მწვრთნელთა დიდების დარბაზი", ვის შეიყვანდით ამ სიმბოლურ კლუბში?**

— ათი წელი ვიცავდი თბილისის „დინამოს" ღირსებას და ამ ხნის განმავლობაში შვიდი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი. მათი უმეტესობა კარგი სპეციალისტი იყო, მაგრამ ანდრო ჟორდანიას დარი მე არ შემხვედრია.

საკმარისია ითქვას, რომ მისი გაზრდილი ცხრა ფეხბურთელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა, ხოლო 15-მა სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრებში ითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშა. ამ დარბაზში, პირველ რიგში, სწორედ ანდრო ჟორდანიას შეეიყვანდი. და კიდევ, რა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცს, რომელმაც საბჭოთა კავშირის თასი ორჯერ მოაგებინა ჩვენს „დინამოს“, ქვეყნის ჩემპიონატიც და ევროპის თასების თასიც.

**— 1994 წლიდან მოყოლებული, მეშვიდედ ვცდილობთ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებზე გასვლას და ჯერჯერობით წარუმატებლად. საინტერესოა, „დინამო“-64 ან „დინამო“-81 თუ შეძლებდნენ ამას?**

— ნამდვილად არ მინდა, გადაჭარბებულად აღიქვან გულშემატკივრებმა ჩემი აზრი, მაგრამ ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ორივე თაობის „დინამო“ უპრობლემოდ მოიპოვებდა ფინალური ტურნირის საგზურს.

ჩვენ ფეხბურთით ვცხოვრობდით, ეს იყო ჩვენთვის ყველაფერი. პირველად რომ თბილისის „დინამოს“ მაისური მომცეს, რომელსაც მკერდზე ასო „დ“ ეწერა, ღამის ორ საათამდე სარკეში სიამაყით ვუყურებდი საკუთარ თავს. სწორედ ფეხბურთმა მომცა ყველაფერი: ხალხის სიყვარულიც, გამარჯვების სიხარულიც, მეგობრების პატივისცემაც... მე ფეხბურთმა ჩამომაყალიბა როგორც პიროვნება და როგორც მოქალაქე.

ორატორი და პედაგოგი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი პატივისცემით, ასეთი სიყვარულით უნდა ფეხბურთს მიდგომა. საერთოდ, ყველა საქმეს გული და სიყვარული სჭირდება.

1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონები რომ გავხდით, პირველ რიგში, სწორედ ამან მოგვაგებინა ოქროს მედლები.

**— ის სეზონი საკმაოდ უცნაური იყო. ჩემპიონატის სტარტზე 12-დან 11 ქულა აიღეთ და ამის მიუხედავად, მალე უფროსი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. რა მოხდა?**

— მეშვიდე ტურში მოსკოვში წავაგეთ ტრადიციულად ჩვენთვის ყველაზე უხერხულ მეტოქეებთან, მოსკოველ თანაკლუბელებთან 1:3 და იაკუშინის მოხსნის ფორმალური მიზეზიც ეს გახდა, თუმცა სინამდვილეში ძაღლის თავი სხვაგან იყო დამარხული.

1963 წლის გაზაფხულზე ამხანაგური მატჩი გვქონდა თბილისში. შეხვედრის წინ კი ორ მსოფლიოს ჩემპიონს, ნონა გაფრინდაშვილს და ტიგრან პეტროსიანს მოედანზე ცოცხალი ჭადრაკი უნდა ეთამაშათ, ანუ ფიგურების ნაცვლად ბავშვები დადგებოდნენ იმპროვიზებულ საჭადრაკო დაფაზე. სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ მატჩი „ბურევესტნიკის“, ახლანდელ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დანიშნა. იაკუშინს „დინამოზე“ უნდოდა თამაში. საბოლოოდ, შეხვედრა „ბურევესტნიკზე“ გაიმართა, მაგრამ იაკუშინი პროტესტის ნიშნად საერთოდ არ მოვიდა სტადიონზე. მერე გავიგეთ, თურმე კუს ტბის მთის ფერდობიდან უყურებდა თამაშს.

სწორედ ეს „ჯიუტობა“ არ აპატიეს მიხეილ იაკუშინს და მოსკოვის „დინამოსთან“ მარცხის შემდეგ გავრილ კაჩალინი დაგვინიშნეს უფროს მწვრთნელად.

**— ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი ერთობ უცნაურად იყო შედგენილი. თბილისურ კლუბს 16-დან 8 მატჩის გამართვა მეტოქის მოედანზე მოუწია, ხოლო მოსკოვის „ტორპედო“ პრაქტიკულად არ გასულა საბჭოეთის დედაქალაქიდან. ავტოქარხნელებმა მხოლოდ ორი შეხვედრა ითამაშეს გასვლაზე და ორივეში დამარცხდნენ, ქუთაისში 0:1 „ტორპედოსთან“ და თბილისში 1:3 „დინამოსთან“. საინტერესოა, ჩემპიონატის სტარტზე, როდესაც კალენდარი გამოქვეყნდა, რატომ არ გააპროტესტეთ ამგვარი უსამართლობა?**

— ჩვენ ვინ გვკითხავდა, ვინ მიიღებდა პროტესტს?! არც პრესაში არ მოგვცემდნენ უკმაყოფილების გამოთქმის საშუალებას. როგორც უნდოდათ, ისე აკეთებდნენ. ხომ არ გავიწყდებათ, რომ მაშინ საბჭოთა კავშირი იყო?! თასიც და ქვეყნის ჩემპიონობაც, მხოლოდ მოსკოვურ კლუბებს უნდა მოეპოვებინათ.

მაშინ უბრალოდ დაემთხვა, 1964 წლის შემოდგომაზე მოხსნეს ნიკიტა ხრუშჩოვი, ამიტომაც პოლიტბიუროს წევრები უფრო „მნიშვნელოვანი პრობლემებით“ იყვნენ დაკავებულნი. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ თბილისის „დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“ 46-46 ქულა მოაგროვეს და ჩემპიონის გამოსავლენად ჩვენ შორის დამატებითი მატჩი დაინიშნა ტაშკენტში, მსაჯობა კი ლატვიელ მიკენას რუბენისს „ანდეს“ და შეცდნენ კიდეც. რუბენისმა ობიექტურად იმსაჯა და ჩვენს კარში თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი არ ჩათვალა, ხოლო დამატებით დროში 11-მეტრიანიც დანიშნა მოსკოველთა კარში.

ამან სულ გააგიჟა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მოშკარკინი. ეს უკვე მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ გვითხრა თავად რუბენისმა. მოშკარკინი თურმე მსაჯთა ოთახს ანგრევდა:

— ტორპედოელთა გოლი უნდა ჩაგეთვალა, 11-მეტრიანი კი მათ კარში, არ უნდა დაგენიშნა! ეუბნებოდა არბიტრს.

ამ მატჩის შემდეგ რუბენისი წლების განმავლობაში აღარ გააკარეს უმაღლეს ლიგას.

საკმაოდ მძიმე გამოდგა ჩემპიონატის ფინიშიც, როდესაც ბოლო ტურში იაროსლავლის „შინიკს“ ვმასპინძლობდით. სტუმრებისთვის ამ მატჩის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მოგების შემთხვევაშიც კი ისინი ტოვებდნენ „ა“ კლასს, ხოლო ჩვენ მხოლოდ გამარჯვება გვჭირდებოდა, რადგან ორი ქულით ჩამოვრჩებოდით მოსკოვის „ტორპედოს“.

პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 1:1 იყო. მეორეში, დიდი უპირატესობის მიუხედავად, გოლი ვერა და ვერ გაგვქონდა. „შინიკის“ ფეხბურთელები, თითქოს სტალინგრადის ბრძოლა იყო, ისე იცავდნენ თავს. თურმე ისევ მოსკოველი ჩინოვნიკები ჩარეულან საქმეში. ჩვენ თუ ქულას დაგვაკარგვინებდნენ, „ა“ კლასში დარჩენას და კიდევ რაღაც-რაღაცებს დაპირდნენ. ეს უკვე შეხვედრის დასრულების შემდეგ გვითხრეს იაროსლაველმა ფეხბურთელებმა. აქვე გეტყვით, რომ



„ოქროს მატჩის“ ოქროგოლი: ილია დათუნაშვილის კუთხურიდან ჩახვეული „ტორპედოს“ კარში

„შინიკი“ მაინც გავარდა და უმაღლეს ლიგას ათი წლის შემდეგ დაუბრუნდა.

მატჩი უკვე მთავრდებოდა, ათი წუთიღა რჩებოდა. სლავა მეტრეველმა, როგორც იქნა შეაგდო, ბოლოს კი მეც გავიტანე სხვათა შორის პირდაპირ კუთხურიდან და 3:1 მოვიგეთ.

**— თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ტაშკენტის ფინალურ მატჩში შაპოვალენკოს კარში ასევე კუთხურიდან ჩახვეული ბურთი იყო.**

— მატჩის წინ ყველანი ვნერვიულობდით. ტაშკენტის „პახტაკორის“ ბაზაზე ვცხოვრობდით და იქვე ვემზადებოდით. ბიჭები არ იმჩნევდნენ, თუმცა დაძაბულები იყვნენ. ვხედავ, ჯემალ ზეინკლიშვილი შემოდის ბაზის ტერიტორიაზე... ვირზე ამხედრებული. თურმე მეზობელ სოფელში უყიდია ვირი. თავიდან კაჩალინის სახეზე გაოგნება დავინახე, მერე კი ყველას ხარხარი აგვივარდა...

თამაში ნერვიულად დავიწყეთ, როგორღაც ვერ ავეწყეთ. ამ დროს თურმე გავრილ კაჩალინი იძახდა: „ნეტავ გაგვიტანონ ტორპედოელებმა, ნეტავ გაგვიტანონ!..“ სათადარიგოთა სკამზე მჯდომ ჩვენს მეორე მწვრთნელს, ალიოშა კოტრიკაძეს უფიქრია — გაგვყიდა, მგონი, გავრილამო, მაგრამ კაჩალინმა იცოდა, რასაც ამბობდა.

მართლაც, მეორე ტაიმში ტორპედოელმა შჩერბაკოვმა სერგო კოტრიკაძის კარში რომ შეაგდო ბურთი, მაშინ გამოვფხიზლდით და ისე ავთამაშდით, როგორც ქართულ „დინამოს“ შეეფერებოდა.

დაახლოებით ოცი წუთი უკლდა შეხვედრის დამთავრებას, მოსკოველთა კართან ზედიზედ სამჯერ მოვაწოდე კუთხური. პირველი ორი უახლოეს ძელთან მოვჭერი და მეკარემ მოიგერია, მესამე კი შორეული ძელისკენ ჩავახვიე. შაპოვალენკო ჯერ წინ დაიძრა, შემდეგ უკან, მაგრამ დაიბნა, ვეღარ მოასწრო რეაქცია და მხოლოდ თვალიღა გააყოლა ბურთს. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, ხოლო დამატებითში, მე, მიშა მესხმა და სლავა მეტრეველმა კიდევ სამი გოლი გავიტანეთ და საბოლოოდ 4:1 გავიმარჯვეთ.

ეს დღემდე დაუვიწყარი გამარჯვებაა, ოღონდ არ მკითხოთ, რამდენად ბედნიერები ვიყავით, ამის განსაზღვრა რაიმე შკალით შეუძლებელია.

**— საინტერესოა, საბჭოთა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ რით დაგაჯილდოვათ ფეხბურთელები?**

— დღევანდელთან შედარებაც არ შეიძლება, მაგრამ მცირე პრემიები მაინც მოგვცეს. მე ყველაზე მეტი, სამოთახიანი ბინა მერგო. საქართველოს ცეკას პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან შეხვედრის დროს, ჩემი თხოვნით, გავრილ კაჩალინმა უთხრა, ილია დათუნაშვილი ცოლის მოყვანას აპირებს და იქნებ სამოთახიანი ბინა მივცეთო...

მჟავანაძეს გაეცინა და თანხმობაც თქვა.

პირველმა მდივანმა კი დამასაჩუქრა, მაგრამ ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე არ მაძლევდა.

— ვინ უნდა ჩაწერო ამ სამ ოთახში? — მკითხა.

— არავინ, მარტო ვიცხოვრებ-მეთქი, ვუპასუხე.

— გიჟი ხომ არ ხარ შენ?! მარტო კაცს სამი ოთახი როგორ მოგცე?

— კაი, ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, ვუპასუხე და წამოვედი.

ვხედავ, დერეფანში მომდევს და თან ყვირის:

— გამოუწერეთ, გამოუწერეთ ორდერი სამივე ოთახზე, თორემ დაგვიჭერენ ყველას, ჯანდაბას მაგის თავი!

კაბინეტში რომ შევბრუნდი, უკვე წყნარად მითხრა:

— 30 წელია აქ ვმუშაობ და ერთი კაცისთვის სამოთახიანი ბინა ჯერ არ მიგვიცია.

— რა მოხდა, დალოცვილო, კიდევ გავხდებით ჩემპიონები და კიდევ გამომიწერ სამოთახიანის ორდერს-მეთქი.

**— იმ გამარჯვების შემდეგ თბილისის „დინამოში“ კიდევ რამდენიმე სეზონი ითამაშეთ და 1967 წელს, როგორც მაშინ იტყოდნენ, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდეთ. მაგრამ ცოტა უცნაური კია, თქვენთვის ბოლო ჩემპიონატში 28 მატჩი ჩაატარეთ და 6 გოლიც გაიტანეთ. ესე იგი მწვრთნელიც გენდობოდათ და გუნდისთვისაც საჭირო იყავით. როგორც ჩანს, რაღაცა მოხდა მაშინ. რა იყო ეს „რაღაც“?**

— ჩვეულებრივი ამბავი იყო, თუმცა ახლაც ასეა. 30 წლისა უკვე ბებრად ჩამთვალეს და ისე მომექცნენ, როგორც მიშა მესხს. მოდა იყო — ახალგაზრდებზე აკეთებდნენ აქცენტს. მოგვიანებით კიდევ არაერთი ფეხბურთელი აიძულეს, წასულიყო, თუმცა მეც და სხვებსაც კიდევ შეგვეძლო თამაში. გვარებს არც ამჯერად დავასახელებ.

**— ვიცი, რომ ილია დათუნაშვილს ფეხბურთის გარდა თამადობაც უყვარს. სუფრის ბოლოს, ქეიფს რომ ამთავრებთ, რომელ სადღეგრძელოს სვამთ?**

— თამადობა და გემრიელ ხალხთან ერთად ლხინი, მართლაც მიყვარს. ტრაბახით არ ვიტყვი, არც ურიგო თამადა ვარ. სადღეგრძელოს კი, ვისაც უნდა მიყავდეს სუფრა, ბოლოს აუცილებლად ვიტყვი — იმ ხალხის გამარჯვებისას, ვისაც სიკეთე უკეთებია. არაკაცი უნდა იყო, რომ მათი დამსახურება დაივიწყო.

ბორის ფროლოვით დაწყებული, ვისთანაც ბავშვმა დავიწყე ბათუმში ვარჯიში, შემდეგ იყვნენ ლადო ნარიმანიძე და ევგრაფი შევარდნაძე, მოგვიანებით ანდრო ჟორდანია, გავრილ კაჩალინი... ყველას სიკეთე მახსოვს.

...თბილისში რომ გამომიძახეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდული გუნდების მატჩში მონაწილეობისთვის, ევგრაფი შევარდნაძემ დეპეშა დამიმალა. მეორე გამოაგზავნეს, ისიც დამალა. ბოლოს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი სიხარულიძის ხელმოწერით მოვიდა დეპეშა: „სასწრაფოდ ჩამოვიდეს“. ვეღარ დამალეს, მატარებლის ბილეთიც ამიღეს, მაგრამ ევგრაფიმ მითხრა: „იცოდე, თბილისში არ დარჩე, თორემ ვაი შენი ტყავის ბრალი!“ გული უგრძნობდა, რომ დავრჩებოდი. იმ კაცს, ჩემთვისაც და თავისი გუნდისთვისაც, სიკეთე უნდოდა.

მადლით, ვისაც სიკეთე უკეთებია...

**გოგი ფრანგიშვილი**






არსენ ვენგერს ალიშერ უსმანოვი რუსულად გამოაწყობს და ჩააფულიანებს

# რუსეთელები მოდიან!

## 14,58 დინ-ამიტი უკვე ჩადებულია

**არც** კი ვიცით, ქართულ გაზეთში როგორი შეფასება უნდა მიეცეს იმ ფაქტს, რომ რუსები ინგლისურ ფეხბურთში სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებიან — ლონდონის „არსენალის“ ყოფილმა ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინმა, რომელიც ცოტა ხნის წინ თანამდებობიდან საკმაოდ უხეშად დაიფრინეს, ყველასთვის მოულოდნელად თავისი წილი აქციები რუს მილიარდელს, ალიშერ უსმანოვსა და მის ირანელ პარტნიორ ფარად მოშირის მიჰყიდა.

ჰოდა, სულო ცოდვილო და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ეს შეიძლება ძალიან კარგი გამოდგეს. როგორ? როგორ და, იქნებ დალოცვილმა რუსებმა ინგლისური ფეხბურთის თანდათანობით დაპყრობის მაგალითზე დაინახონ, რომ ვილაცის დასაპყრობად „პუშკების“ გრიალი და სალდათების ჩაყენება სულაც არ არის აუცილებელი.

მაგრამ, ეს უკვე პოლიტიკაა, პოლიტიკა კი „სარბიელის“ თემა არ არის და ამიტომ, აქვე თავს ვანებებთ. ვისაც რა უნდა, ის ეგონოს, ჩვენ კი ლონდონის „არსენალისას“ ვიტყვით.

უფალი უსმანოვი, რომელიც, როგორც სახელითა და გვარით ხვდებით, ეთნიკური რუსი არ არის — ის, თანამედროვე განსაზღვრებით რუსეთელია — 4 მილიარდი ინგლისური გირვანქის პატრონი გახლავთ. მისი და ზემოხსენებული დევიდ დინის ალიანსი კი იმას ნიშნავს, რომ „არსენალში“ აქციათა საკონტროლო პაკეტის გადანაწილებისთვის დიდ ბრძოლას უნდა ველოდოთ.

დინმა უსმანოვისა და მოშირის კომპანიას სიმბოლური სახელწოდებით **Red and White Holdings Ltd**, რაც ქართულად „თეთრ და წითელ ჰოლდინგს“ ნიშნავს, თეთრ და წითელ ფერებიანი კლუბის აქციათა 14,58 პროცენტი მიჰყიდა, რაშიც 75 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

საქმეში ჩახედული ადამიანები ამტკიცებენ, რომ რუსეთელი და ირანელი მილიარდელებისა და დინის უცნაურ ალიანსს ყოველმხრივ ამოუდგება მხარში „მეთოფეთა“ მწვრთნელი არსენ ვენგერი, რომელიც მალე კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს. ამბობენ იმასაც, რომ კლუბის მსხვილ აქციონერთა დანარჩენ ნაწილს, მათ საქმეში რუსეთულ-ირანული ელემენტის გამოჩენა ძალიან არ ესიამოვნა. ერთი სიტყვით, წესით უნდა ატყდეს ის, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ — ბრძოლა „არსენალის“ ძირითადი მეპატრონეობისთვის.

ლონდონელთა მენეჯინგ-დირექტორმა კიტ ედელმენმა განაცხადა:

„ამ ხალხმა „არსენალის“ აქციათა მხოლოდ ნაწილი იყიდა. ეს მათ კლუბის საქმეებში ჩარევის საკმაოდ შეზღუდულ საშუალებას აძლევს და არც მგონია, რომ მათ დიდი გავლენა მოიპოვონ“.

შემდეგ ედელმენმა განაცხადა, რომ „არსენალს“ ახალი ინვესტორები სულაც არ სჭირდება.

„ფინანსური თვალსაზრისით კლუბი მეტისმეტად კარგ მდგომარეობაშია. ჩვენ ყოველმხრივ ძლიერები ვართ და პირველ შედეგებს სექტემბრის მიწურულს უკვე ნახავთ. მწვრთნელის განკარგულებაში კიდევ დარჩა გვარიანი თანხა“.

და ბოლოს, ერთხელაც გავიხსენოთ, რომ 63 წლის დინი „არსენალის“ ახალმა მთავარმა მეწილემ და ფაქტობრივმა მმართველმა, ამერიკელმა სტენ კროენკემ ამა წლის აპრილში დაითხოვა ისე ცივად და უცერემონიოდ, გეგონება ამ ღვაწლმოსილ ადამიანს „მეთოფეთა“ წინაშე დიდი დამსახურება არ ჰქონოდა.

„არსენ ვენგერი მართლაც ფანტასტიკურად მუშაობს, მაგრამ ამის მიუხედავად, თუ ახალი ინვესტორები არ გამოჩნდნენ, „არსენალი“ მალე ჩავარდება გასაჭირში და უმაღლეს დონეზე წარმატებებს შესაძლოა, ველარც მიაღწიოს“ — განაცხადა დინმა, რომელიც, როგორც ბოლო მოვლენებიდან ჩანს, დანებებას არ აპირებს.

ცნობისთვის: საფონდო ბირჟის წეს-კანონთა თანახმად, ბიზნესმენს საკონტროლო აქციის შეძენასა და კლუბის მეპატრონეობაზე განცხადების შეტანა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მისი წილი 29,9 პროცენტია.

**ბაკუნა ძიდია**

# ნეკნები

**ოთხი** გატეხილი ნეკნი, გაბზარული ლავიწის ძვალი და დაზიანებული ფილტვი — აი, ტრავმაც ამას ჰქვია, მაგრამ რომელიმე ფეხბურთელმა კი არა, სერბეთის ნაკრების მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ მიიღო. ბილბაოში, საკუთარ ავტოფარეხში, როგორ დაუსხლტა ფეხი და დაეტყუპა, კლემენტე ვერ იხსენებს.

59 წლის ბასკი ახლა ჰოსპიტალში წევს, მაგრამ განაცხადა, რომ მაინც დაესწრება ნაკრების შესარჩევ მატჩებს ფინეთთან და პორტუგალიასთან. „ტკივილები მტანჯავს, მაგრამ კვირას ავტომობილით წავალ ბელგრადში, რადგან თვითმფრინავით ვერ ვიმგზავრებ დაზიანებული ფილტვის გამო. ძალიან კარგი თანაშემწეები მყავს და საქმეს გამიადვილებენ“ — თქვა მწვრთნელმა.

სერბეთის ფეხბურთის ასოციაციამ კლემენტეს საქციელს (წაქცევას კი არა, ბელგრადში ჩასვლას) გმირობა უწოდა. „ეს ნიშნავს, რომ მას საკუთარ ჯანმრთელობაზე მეტად ჩვენი ნაკრები ადარდებს“ — განაცხადა ფედერაციის პრესმდივანმა ალექსანდრ ბოშკოვიჩმა.

ხავიერ კლემენტემ გუნდში პირველად უხმო ბელგრადის „პარტიზანის“ ნახევარმცველ ზორან ტოშიჩს. 8 სექტემბერს სერბები ფინეთს უმასპინძლებენ, 12-ში კი პორტუგალიაში ითამაშებენ. ფინეთთან მატჩს გამოტოვებენ დისკვალიფიცირებული ნემანია ვიდიჩი და მლადენ კრსტაიჩი, სამაგიეროდ, დაბრუნდებიან სასჯელმოხდილი კაპიტანი დეიან სტანკოვიჩი და ტრავმამოშუშებული ნიკოლა ჟიგიჩი. სერბეთი ჯგუფში 14 ქულით მეოთხე ადგილზეა.

# უეფას თასი 2007-08

## პირველი ეტაპის [illegible]

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი (დანია) | ლოკომოტივი (რუსეთი) |
| გრონინგენი (ჰოლანდია) | ფიორენტინა (იტალია) |
| რაბოტნიჩკი (მაკედონია) | ბოლტონი (ინგლისი) |
| სევილია ან აეკ | ზალცბურგი (ავსტრია) |
| ნიურნბერგი (გერმანია) | რაპიდი (რუმინეთი) |
| ევერტონი (ინგლისი) | მეტალისტი (უკრაინა) |
| ზენიტი (რუსეთი) | სტანდარდი (ბელგია) |
| ლევერკუზენი (გერმანია) | ლეირია (პორტუგალია) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | ბატე (ბელარუსი) |
| სიონი (შვეიცარია) | გალათასარაი (თურქეთი) |
| ატლეტიკო (ესპანეთი) | ქაისერი (თურქეთი) |
| ბორდო (საფრანგეთი) | ტამპერე (ფინეთი) |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | არტმედია (სლოვაკეთი) |
| სპარტა (ჩეხეთი) | ოდენსე (დანია) |
| ციურიხი (შვეიცარია) | ემპოლი (იტალია) |
| სოშო (საფრანგეთი) | პანიონიოსი (საბერძნეთი) |
| რაპიდი (ავსტრია) | ანდერლეხტი (ბელგია) |
| ფერეირა (პორტუგალია) | ალკმაარი (ჰოლანდია) |
| სამპდორია (იტალია) | ოლბორგი (დანია) |
| სპარტაკი (რუსეთი) | ჰეკენი (შვედეთი) |
| ჰამარბი (შვედეთი) | ბრაგა (პორტუგალია) |
| ლარისა (საბერძნეთი) | ბლექბერნი (ინგლისი) |
| ბოლესლავი (ჩეხეთი) | პალერმო (იტალია) |
| დინამო (ხორვატია) | აიაქსი (ჰოლანდია) |
| რენი (საფრანგეთი) | ლოკომოტივი (ბულგარეთი) |
| ბრანი (ნორვეგია) | ბრიუგე (ბელგია) |
| ბაიერნი (გერმანია) | ბელენენსეში (პორტუგალია) |
| აბერდინი (შოტლანდია) | დნიპრო (უკრაინა) |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | ჰელსინგბორგი (შვედეთი) |
| ტულუზი (საფრანგეთი) | ცსკა (ბულგარეთი) |
| ჰამბურგი (გერმანია) | ლიტექსი (ბულგარეთი) |
| სარაევო (ბოსნია) | ბაზელი (შვეიცარია) |
| აუსტრია (ავსტრია) | ვოლერენგა (ნორვეგია) |
| აიკ (შვედეთი) | ჰაპოელი (ისრაელი) |
| არისი (საბერძნეთი) | სარაგოსა (ესპანეთი) |
| დინამო (რუმინეთი) | ელფსბორგი (შვედეთი) |
| ტოტენჰემი (ინგლისი) | ანართოსისი (კვიპროსი) |
| ლანსი (საფრანგეთი) | კოპენჰაგენი (დანია) |
| ხეტაფე (ესპანეთი) | ტვენტე (ჰოლანდია) |
| ვროცლავი (პოლონეთი) | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) |

*პირველი მატჩები გაიმართება 20 სექტემბერს, საპასუხოები — 4 ოქტომბერს*

# ბიანკიმ კორადი გააგდო

**ბერნარდო კორადი** „მანჩესტერ სიტიდან“ „პარმაში“ დაბრუნდა, სადაც 2005-2006-ის სეზონი გაატარა. 2002-2004 წლებში კორადი „ლაციოში“ თამაშობდა და 69 მატჩში 23 გოლი გაიტანა. შემდეგ გადავიდა „ვალენსიაში“, მაგრამ ვერ შეეწყო და „პარმას“ ათხოვეს, შარშან ზაფხულს კი „სიტიმ“ იყიდა. მანჩესტერულმა კლუბმა ახლა სხვა იტალიელი, როლანდო ბიანკი შეიძინა „რეჯინადან“ და ბერნარდო კორადი ზედმეტი აღმოჩნდა. „პარმა“ წელიწადში მილიონ გირვანქას გადაუხდის და მომავალ ზაფხულს მისი კონტრაქტი შეიძლება გამოისყიდოს.

# დევისი ვილას ცენტრში

**„ასტონ ვილამ“** „ვესტ ბრომვიჩის“ მცველი კერტის დევისი ერთი წლით ითხოვა. ვილელთა თავკაცი მარტინ ონილი რამდენიმე თვე ცდილობდა, დევისის გადაბირებას და მაინც მოახერხა. ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი 10 მილიონი გირვანქა ღირს და „ასტონ ვილა“ მომავალ ზაფხულს ამ თანხას თუ გადაიხდის, დევისს დაისაკუთრებს.

# ეგვიპტური მიდლსბრო

**ეგვიპტის** „ალ აჰლის“ ნახევარმცველი მოჰამედ შავკი „მიდლსბროს“ 650 ათას გირვანქად იყიდა. ეგვიპტელი ერთი კვირის განმავლობაში ვარჯიშობდა გუნდთან ერთად და მწვრთნელ გარეთ საუთგეიტს თავი მოაწონა. 25 წლის შავკიმ „ბოროსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი არ მოიწყენს ახალ გუნდში, რადგან იქაა მეორე ეგვიპტელი აჰმედ მიდო.

# ნაციხარი რაშიდი

**როტერდამის** „სპარტას“ მაროკოელი ფორვარდი რაშიდ ბუაუზანი „უიგანმა“ შეიძინა, მაგრამ გარიგების ფასი არ გაამხილა. ფეხბურთელმა 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და გუნდთან გუშინვე ივარჯიშა. ბუაუზანი ცნობილია იმით, რომ 2004 წელს „იგლზის“ თავდამსხმელ ნილს კოკმეიერს ფეხი მოსტეხა და ამის გამო ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

# სენეგალელიც ლიგაში

**ინგლისის** ჩემპიონლიგის „ჩარლტონის“ სენეგალელი ნახევარმცველი ამდი ფაიე „რეინჯერსმა“ ერთი სეზონით ითხოვა. ფაიეს დახმარება „ჩაფრებს“ ჩემპიონთა ლიგაში სჭირდებათ, სადაც „ბარსელონასთან“, „ლიონსა“ და „შტუტგარტთან“ მოუწევთ ბრძოლა.

**გაგა ხუციშვილი**


დაშავებული დევიდ ბექემი ექვსი თვე ვერ ითამაშებს

# დევი ეგონათ დევიდი

**ინგლისის** ნაკრების ვარსკვლავი დევიდ ბექემი ევრო 2008-ის შესარჩევებს, ისრაელისა და რუსეთის წინააღმდეგ გამოტოვებს. მიზეზი — მუხლის მყესების დაზიანება.

დევიდ ბექემი ოთხშაბათს, თავისი ახალი გუნდის „ლოს ანჯელეს გალაქსის“ შემადგენლობაში დაშავდა — მექსიკურ „პაჩუკას“ სუპერლიგის ფინალში ეთამაშებოდა. პენალტებში „პაჩუკამ“ გაიმარჯვა. ბურთი ბექემს ჰქონდა, მეტოქე ფერნანდო სალასარი ჩაუწვა, განსაკუთრებულ უხეშობას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, რაც იყო, ის ორთაბრძოლაც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ 32 წლის, პროფესიული ფეხბურთით ნატანჯი ორგანიზმი დაშავებულიყო. ახლა, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მადრიდის „რეალის“ ყოფილ ვარსკვლავს დაახლოებით ექვსთვიანი მკურნალობა ელის.

ხოლო ინგლისის ნაკრები ისრაელსა და რუსეთს 8 და 12 სექტემბერს ეთამაშება, ასე რომ, ინგლისელთა მწვრთნელი სტივ მაკლარენი, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი [illegible] ლია, მართლაც [illegible]

„კოჭის ტკივილის“ [illegible] და ორთაბრძოლაში იმაზე სუსტად შევედი, ჩვეულებრივ რომ შევდივარ ხოლმე“ — განუმარტა შემდეგ ბექემმა ჟურნალისტებს.

„დევიდი ტრავმიანი თამაშობს. წესით, ასეთ მდგომარეობაში კაცი არ უნდა თამაშობდეს. ის ტკივილს ებრძვის და მტკიცე ხასიათს ამჟღავნებს. როდესაც დევიდი მინდორზეა, ჩვენი გუნდი გაცილებით მხნედაა, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ვერ თამაშობს“ — ეს სიტყვები კი „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მწვრთნელ ფრენკ იალოპს ეკუთვნის.

და ბოლოს, მატჩის შემდეგ, დაჯილდოვების ცერემონიალზე გასულ ინგლისელს ქომაგებმა გვარიანად უსტვინეს. როგორც ჩანს, ის რეკლამა, რომელიც მას გაუკეთეს, ძალიან არ შეესაბამება იმას, რასაც ტრავმიანი და უიღბლო ბექემი აჩვენებს ამერიკელ გულშემატკივარს.

**ბაკუნა კედია**

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლტონი | : | ევერტონი |
| ფულემი | : | ტოტენჰემი |
| ლივერპული | : | დერბი |
| მანჩესტერი | : | სანდერლენდი |
| მიდლსბრო | : | ბირმინგემი |
| ნიუკასლი | : | უიგანი |
| რედინგი | : | ვესტ ჰემი |
| **ხვალ** | | |
| არსენალი | : | პორტსმუთი |
| ასტონ ვილა | : | ჩელსი |
| ბლექბერნი | : | სიტი |

# ინგლისი
## ოსტატი VS შეგირდი

**ორი** წლის წინ ალექს ფერგიუსონი როი კინის მწვრთნელი იყო, ახლა კი როი კინია „სანდერლენდის“ მწვრთნელი და დღეს შოტლანდიელი და ირლანდიელი მოედნის კიდესთან შეხვდებიან ერთმანეთს — „მანჩესტერი“ „სანდერლენდს“ უმასპინძლებს. ფერგიუსონის გუნდი კინისას ერთი ქულით უსწრებს. მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერმა“ სამ ტურში ერთი მოიგო, შოტლანდიელის აზრით, ახლა უფრო კარგად თამაშობენ, ვიდრე შარშან ამ დროს. ოთხ მატჩში მხოლოდ ხუთი ქულა კი უეინ რუნის ტრავმისა და კრიშტიანუ რონალდუს დისკვალიფიკაციის ბრალია. კარლოს ტევესს ჯერ არ გაუტანია და ოლე გუნარ სოლსკიაერმა კარიერა დაასრულა. ამიტომ დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაში ფრანგი ლუი საა გამოჩნდება, ვისაც მაისის შემდეგ არ უთამაშია, თებერვლის აქეთ კი გოლი არ შეუგდია.

რაკი „მანჩესტერს“ გოლები უჭირს, მცველმა ნემანია ვიდიჩმა თქვა, ეგ საქმე მე მომანდეთო: „ამ სეზონში ბევრი უნდა გავიტანო. ფეხით, თავით თუ მუცლით, ჩემთვის სულ ერთია“.

„ლივერპული“ კვლავაც სტივენ ჯერარდის გარეშე ითამაშებს, რომელსაც ფეხის თითი სტკივა. უჯერარდოდ „სანდერლენდს“ და „ტულუზს“ მოუგეს და „დერბის“ დამარცხებაც არ უნდა გაუჭირდეს, რომელიც ბოლო ადგილზეა. არ იქნება ნეკნნატკენი მცველი ჯეიმი კარაგერიც. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ანდრეი ვორონინი, რომელმაც „სანდერლენდს“ გაუტანა, „ტულუზთან“ კი დაასვენეს, რადგან კუნთი დაეჭიმა. რაფაელ ბენიტესი კვლავაც აგრძელებს როტაციას და მატჩიდან მატჩამდე შემადგენლობას ცვლის, რასაც დირკ კუიტი ეთანხმება: „ჩვენ ფორვარდები, ერთმანეთს ვეხმარებით. გვსურს, რომ ყველას ჰქონდეს თავის გამოჩენის შანსი და ყველამ კარგად ითამაშოს“.

ლონდონურ დერბიში „ფულემი“ „ტოტენჰემს“ დაუხვდება, რომელსაც სტუმრად ორ მატჩში გოლი არ გაუტანია. „ტოტენჰემი“ დიდი იმედით შეხვდა სეზონს და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლას აპირებდა, მაგრამ ოთხ ტურში სამმა მარცხმა გუნდის მიზნები შეცვალა, მწვრთნელ მარტინ იოლს კი მოხსნით დაემუქრნენ. იოლისთვის კარგი ამბავი ისაა, რომ მაიკლ დოუსონი და იუნეს კაბული გამოკეთდნენ და დაცვას გააძლიერებენ. მარტინ იოლის თანაშემწე კრის ჰატონი ოთხიდან სამ წაგებაში უბედურებას ვერ ხედავს: „წინა ტურში „მანჩესტერთან“ კარგად ვითამაშეთ და ეს მაიმედებს. მართალია, ცუდად დავიწყეთ სეზონი, მაგრამ ბიჭები არ გატყდნენ — პირიქით, უფრო მოემატათ ბრძოლის ჟინი“.

„ჩელსის“ ფორვარდი ანდრეი შევჩენკო გამოკეთდა და შეიძლება, ხვალ „ასტონ ვილასთან“ ითამაშოს. კვლავ ტრავმირებულნი არიან მიხაელ ბალაკი, რიკარდო კარვალიუ და უეინ ბრიჯი. მსუბუქად დაშავებული იყო ფლორენ მალუდა, რომელსაც ამ კვირაში არ უვარჯიშია, მაგრამ სახვალიოდ ალბათ მზად იქნება.

„არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი კი „სპარტასთან“ ედუარდო და სილვას გოლმა და თეო უოლკოტის კარგმა თამაშმა გაახარა. „მეთოფეები“ „პორტსმუთს“ უმასპინძლებენ, რომელსაც შარშან „ემირატზე“ 2:2 დაუზავდნენ. ვენგერმა თქვა, რომ ედუარდო საჯარიმოში საუცხოოა და მას „FOX IN THE BOX“ — „მელა საჯარიმოში“ უწოდა.

„ასეთი ფორვარდი ჩვენ აქამდე არ გვყოლია და ძალიან წაგვადგება“ — განაცხადა ფრანგმა. ედუარდოც და უოლკოტიც სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნებიან.



ალექს ფერგიუსონი და როი კინი

**მამუკა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | | | | | | | 1:0 | | | | 3:2 | | | | | | | | | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 10 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 2 | სიტი | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | | | | | 1:0 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| 3 | უიგანი | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | 3:0 | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 4 | ლივერპული | 1:1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 5 | ევერტონი | | | 2:1 | | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| 6 | არსენალი | | 1:0 | | | | | | | | | | | | | | | | | 2:1 | | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 7 | ნიუკასლი | | | | | | | | | | | 0:0 | | | | | | | | | | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| 8 | პორტსმუთი | | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | | 3:1 | | | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 9 | ბლექბერნი | | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 10 | მანჩესტერი | | | | | | | | | | | | | | | 0:0 | | 1:0 | | | | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 11 | ასტონ ვილა | | | | 1:2 | | | | | | | | | | | | | | | 2:1 | | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 12 | ბირმინგემი | | | | | | | | | | | | | | 0:1 | | 2:2 | | | | | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| 13 | მიდლსბრო | | | | | | | 2:2 | | 1:2 | | | | | | | | | | | | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 14 | ვესტ ჰემი | | 0:2 | 1:1 | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 15 | რედინგი | 1:2 | | | | 1:0 | | | | | | | | | | | | | | | | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| 16 | სანდერლენდი | | | | 0:2 | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| 17 | ტოტენჰემი | | | | | 1:3 | | | | | | | | | | | | | | | 4:0 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:5 | 3 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| 18 | ბოლტონი | | | | | | | 1:3 | | | | | | | | 3:0 | | | | | | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 19 | ფულემი | | | | | | | | | | | | | 1:2 | | | | | 2:1 | | | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| 20 | დერბი | | | | | | | | 2:2 | | | | 1:2 | | | | | | | | | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# მეომრის ცხოვრება




AFP მილანიდან

**არ მოგბეზრდათ** მარკო მატერაცისა და ზინედინ ზიდანის შარშანდელი თავგადასავლის ვარიანტების მოსმენა? ალბათ, მოგბეზრდათ და ეს ნორმალური ხალხის ნორმალური რეაქციაა, მაგრამ ვაგლახ, ევროპაში არ ბეზრდებათ ერთი და იმავე თემის ტრიალი. ან იქნებ, იქაც ბეზრდებათ, მაგრამ საკუთრივ მსოფლიოს ჩემპიონ მცველს ჩამოუყალიბდა „ზიდანის" ან უფრო ლამაზად „ზიდანის დის" კომპლექსი და ამ კომპლექსისგან თავის დასაღწევად აქტუალიზებულ რალაცებს იმეორებს? აბა, წარმოიდგინეთ, კაცმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გოლი გაიტანა, მანამდეც, მთელი პირველობა შესანიშნავად ჩაატარა, მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა მაგრამ ვერ ისვენებს, ეს ჩემპიონობა არ ერგება.

თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომპლექსის გარდა თემასთან დაბრუნების მიზეზი სხვაც არის:

„მე ექვსი სულელური სიტყვა ვთქვი. მეც შევცდი და ზიდანიც შეცდა ჩემს ნათქვამზე რეაქცია რომ მისცა" — განაცხადა მატერაცამ, რომელსაც ნუ გაიკვირვებთ და წიგნიც კი დაუწერია: „მეომრის ცხოვრება". ეს წიგნი, რომელიც სინამდვილეში მისი მონაყოლების მიხედვით მავანმა იტალიელმა ჟურნალისტებმა დაწერეს, 8 სექტემბერს მილანში, ევრო 2008-ის შესარჩევი შეხვედრის წინ გამოვა საჯაროდ. და, არ გაინტერესებთ, ვის ხვდება იტალია იმ 8 სექტემბერს? ვის და საფრანგეთს, თუმცა მატერაცი ტრავმირებულია და პრეზენტაციისთვის სცალია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე შესარჩევი შეჯიბრების პირველი თამაში „სკუადრა ატურამ" „ლურჯებთან" 1:3 წააგო.

„მესმის, რატომ გაცხარდა ჩემს სიტყვებზე ასე ძალიან — იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ნერვები უკიდურესად იყო დაჭიმული. სხვა ამბავია, რომ დღემდე არ მესმის, რა მოხდა შემდეგ. მას ყველამ აპატია, მე კი გალახულიც დავრჩი და [illegible]. მერედა, [illegible] იმეს [illegible], რადგან თუ შევურიგდებოდი, ამას ვიწრო წრეში, მაგალითად, ჩემს სახლში გავაკეთებდი. ამიტომაც იყო, მთელი მსოფლიო რომ ჭორაობდა, სინამდვილე კი მხოლოდ მე და მან ვიცოდით".

მარკო მატერაციმ ნატკენი ბარძაყის ოპერაცია გაიკეთა და მოედანზე დაბრუნებას ოქტომბრამდე ვერ შეძლებს.

„მინდა, ჩვენმა ხალხმა საფრანგეთის ნაკრებს ისეთივე თბილი შეხვედრა მოუწყოს, როგორიც ჩვენ დაგვხვდნენ შარშან პარიზელები. შარშან ფრანგები ძალიან სამართლიანად მოიქცნენ და მინდა, ტიფოზებმაც ამით უპასუხონ".

ხოლო რაც შეეხება ფრანგთა მწვრთნელის, რაიმონ დომენეკის ერთმაჭრიან დისკვალიფიკაციას, ამაზე ბევრი ფიქრით მატერაცის თავი არ შეუწუხებია:

„ამ დღეს დედაჩემის გარდაცვალებიდან 19 წელი გადის და ჩემთვის ამაზე ფიქრი უფრო მნიშვნელოვანია".

**ბაჰუნა-ბედია**

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| შალკე | : | ლევერკუზენი |
| *იხ. მე-2 გვერდზე და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა* | | |
| **დღეს** | | |
| ვერდერი | : | აინტრახტი |
| ჰერტა | : | ვოლფსბურგი |
| ჰანოვერი | : | ბოხუმი |
| კოტბუსი | : | ნიურნბერგი |
| ჰანზა | : | დორტმუნდი |
| დუისბურგი | : | არმინია |
| **ხვალ** | | |
| ჰამბურგი | : | ბაიერნი |
| კარლსრუე | : | შტუტგარტი |

# გერმანია

## დობერმანის დაბრუნება




ვიქტორ აგალი ისევ ბუნდესლიგაშია

**ოტმარ ჰიცფელდი** ექიმის სიტყვას ელის. ხვალ გაირკვევა, ითამაშებენ თუ არა, ფრანკ რიბერი და მიროსლავ კლოზე „ჰამბურგთან" მატჩში. კლოზე ორი კვირის წინ „ვერდერთან" დაშავდა — მუხლის მყესი დაუზიანდა, რიბერიმ კი წინა ტურში „ჰანოვერთან" მიიღო ტრავმა. ტრავმირებულია ლუკა ტონიც, რომელიც გუნდს ვერ დაეხმარება. გამოკეთდნენ ლუკაშ პოდოლსკი და ვალერიან ისმაელი. მათ შუა კვირაში „გრასჰოპერთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშეს, მაგრამ „ჰამბურგთან" ალბათ სათადარიგოებში იქნებიან. „ძალიან მიხარია დაბრუნება — თქვა პოდოლსკიმ — მინდა, რომ მწვრთნელმა ნახევარი საათი მაინც მათამაშოს".

„ბაიერნთან" 0:4 მარცხის შემდეგ გონზე მოვიდა „ვერდერი", რომელმაც ჯერ „ნიურნბერგს" მოუგო, მერე კი ზაგრების „დინამოს". „მუსიკოსების" მწვრთნელი თომას შააფიც მოფერიანდა და იმედოვნებს, რომ მისი გუნდი აღმასვლას გააგრძელებს: „ბოლო ორი კვირის განმავლობაში ბიჭები თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა. გვინდა, რომ ასე გავაგრძელოთ და „აინტრახტთანაც" ვიმარჯვოთ".

„აინტრახტის" მწვრთნელმა ფრიდჰელმ ფუნკელმა არ დაიზარა და „ვერდერის" დასაზვერად ზაგრებში ჩავიდა. „ძალიან ჭკვიანურად ითამაშეს — თქვა ფუნკელმა — განსაკუთრებით კი დიეგო გამოირჩეოდა, თუმც ჩვენც კარგი გუნდი გვყავს და შინ მოგება გვინდა".

ბილეფილდის „არმინია" მეორე ადგილზეა და სტუმრად „დუისბურგს" თუ დაამარცხებს, სულ მცირე, ერთი დღით ცხრილის თავში მოექცევა. სამ ტურში შვიდი ქულის მოგროვების შემდეგ გერმანულ მედიაში ირონიით წერენ, რომ ამ სეზონში „ბაიერნის" მთავარი კონკურენტი „არმინია" იქნება. „რა თქმა უნდა, თავდაჯერებულობა კარგია, მაგრამ ზედმეტი არ ვარგა. ჩვენ ვიცით, რომ „ბაიერნს" ვერ შევეჯიბრებით. მე ოცნებებში კი არ დავფრინავ, მოედანზე ვდგავარ. ჩემი გუნდი კარგ ფორმაშია და ვნახოთ, რა მოხდება „დუისბურგთან" მატჩში" — ამბობს „არმინიას" მწვრთნელი ერნსტ მიდენდორპი..

ბერლინის „ჰერტა" საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდება ფელიქს მაგატის „ვოლფსბურგს". მცველი არნე ფრიდრიხი და მეგოლე მარკო პანტელიჩი გამოკეთდნენ. „ჰერტას" მწვრთნელი ლუსიენ ფავრე უკვე გააკრიტიკეს იმის გამო, რომ სამ ტურში ორჯერ დამარცხდა, ის კი ფეხბურთელებს აფრთხილებს, მარსელინიოზე თვალი გეჭიროთო. მარსელინიო ყოფილი ჰერტელია და ახლა „ვოლფსბურგს" კაპიტნობს. ბრაზილიელ მეგოლეს უკვე უსტვინეს გაზაფხულზე, როცა „მგლებმა" ბერლინში ითამაშეს. „სტვენა ჯერაც არ დამვიწყებია — თქვა მარსელინიომ — ვფიქრობ, რომ „ჰერტას" ქომაგებისგან პატივისცემას ვიმსახურებ იმის გამო, რაც ხუთი წელი მათთვის ვაკეთე. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მჯერა, ამ შემადგენლობით და ფელიქს მაგატით სამეულში შესვლა შესაძლებელია".

როსტოკის „ჰანზა" ბოლო ადგილზეა, მაგრამ მაინც საზეიმოდ აქვს საქმე. ექვსი წლის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა ფანების ჯილა, ნიგერიელი ფორვარდი ვიქტორ აგალი და დღეს „დორტმუნდთან" ძირითად შემადგენლობაში იქნება. აგალიმ მოიარა ევროპა და ბოლოს თურქულ „ანკარაგიუჯიუში" იყო.

„ის დობერმანია და არა პუდელი. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან წაგვადგება შეტევაში" — თქვა „ჰანზას" მწვრთნელმა ფრანკ პაგელსდორფმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | | | | | | | | | | | | | | | 3:0 | | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:0 | 9 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| 2 | არმინია | | | | 2:2 | | | | | | | | 2:0 | | | | | | | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 3 | ბოხუმი | | | | | 2:1 | | | | | 2:2 | | | | | | | | | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 4 | აინტრახტი | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | 1:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 5 | ჰამბურგი | | | | | | | 1:0 | | | | | | | | | | | | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 6 | შალკე | | | | | | | | | | | | | 4:1 | | | | | | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| 7 | ლევერკუზენი | | | | | | | | | | | | | | 3:0 | | | 0:0 | | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 4 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 8 | ვოლფსბურგი | | 1:3 | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 9 | შტუტგარტი | | | | | | 2:2 | | | | | 1:0 | | | | | | | | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| 10 | ვერდერი | 0:4 | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 11 | დუისბურგი | | | | | | | | 1:3 | | | | | | | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| 12 | ჰერტა | | | | | | | | | 3:1 | | | | | | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 13 | დორტმუნდი | | | | | | | | | | | 1:3 | | | | | | 3:0 | | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| 14 | კარლსრუე | | | | | | | | | | | | | | | | 1:2 | | | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| 15 | ნიურნბერგი | | | | | | | | | | 0:1 | | | | 0:2 | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 16 | ჰანოვერი | | | | | 0:1 | | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| 17 | კოტბუსი | | | 1:2 | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| 18 | ჰანზა | | | | | | | | | | | | | | | 1:2 | | | | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |




# ალვარომ, აქ ვარო
## ორში ერთი მასიმო მორატისთვის

**„ამიერიდან** ახალ გუნდსა და მის ამოცანებზე ვარ გადართული. პრეზიდენტ მორატისთან? არა, მასთან პირისპირ არ მილაპარაკია, რადგან მილანში არ იყო, თუმცა დავურეკე და ტელეფონით მივიღე თანხმობა“ — განაცხადა გუშინ, სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს მილანის „ინტერის“ აწ უკვე ყოფილმა ურუგვაელმა თავდამსხმელმა ალვარო რეკობამ, რომელიც „ტორინოს“ ფეხბურთელი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული მასიმო მორატი, „ინტერის“ მილიონერი მეპატრონე, რეკობასა და ბრაზილიელ ადრიანოს ერთ კონტექსტში განიხილავდა. რეკობასა და „ტორინოს“ მოლაპარაკებათა პარალელურად ადრიანოც აწარმოებდა მთელ რიგ, უპირატესად ინგლისურ გუნდებთან მოლაპარაკებებს და მორატიც ამ ყველაფრიდან საშუალოს გამოყვანას ცდილობდა, რადგან ორიდან ერთის გაშვებაზე ყაბულს იყო, ორივეს გაშვებას კი არ აპირებდა.

ასე და ამგვარად, ადრიანო, რომელსაც ყველაზე აქტიურად მაინც ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ უკავშირდებოდა და ხან 10 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, ხანაც ერთწლიანი ქირის ვარიანტს უსახავდა, „ინტერში“ დარჩება, ურუგვაელი კი ტურინში მიდის.

**ბაჩუნა ძიძია**

# გრავესენი მეორე წრეზეა

**„ევერტონმა“** „სელტიკიდან“ ყოფილი ფეხბურთელი თომას გრ[illegible] ითხოვა. „ევერტონის“ მწვრთნელმა დევიდ მოიესმა დანიელის გა[illegible] მას შემდეგ ისურვა, რაც „ბენფიკასგან“ მანუელ ფერნანდეშის კონტრაქტი ვერ [illegible]. 2005 წლის იანვრამდე იყო მერსისაიდულ კლუბში, სადაც „ჰამბურგიდან“ მივიდა. იანვარში კი მადრიდის „რეალს“ მიჰყიდეს 2 მილიონ 500 ათას გირვანქად. „სელტიკში“ შარშან ივლისში გადავიდა, მაგრამ ამ ზაფხულს მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა აითვალწუნა და ყოფილ გუნდს დაუბრუნდა.

# ლილი და პატრიკი

**ჰოლანდიელი** ფორვარდი პატრიკ კლუივერტი „ლილში“ ითამაშებს წინა სეზონი პსვ-ში გაატარა, მაგრამ კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივეს და უგუნდოდ დარჩა. 31 წლის კლუივერტს ინგლისის ჩემპიონატის „შეფილდ უენსდეიც“ ეპატიჟებოდა და იუარა. მას „აიაქსში“, „ბარსელონაში“, „მილანსა“ და „ნიუკასლში“ უთამაშია. 79 სანაკრებო მატჩში 40 გოლი გაიტანა.

# გრაფიტე მგლის ბუნაგში

**„ვოლფსბურგმა“** „ლე მანის“ ფორვარდი გრაფიტე 8 მილიონ ევროდ იყიდა. 28 წლის ფეხბურთელმა „მგლებთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჩვენ საკმაოდ სარფიანი გარიგება შემოგვთავაზეს და გრაფიტესაც უნდოდა „ვოლფსბურგში“ გადასვლა“ — განაცხადა „ლე მანის“ პრეზიდენტმა ანრი ლეგარდმა. გრაფიტე 2005-ში მივიდა „ლე მანში“ და 51 მატჩში 17 გოლი გაიტანა.

# სარეკორდო კონე

**კლუბისთვის** სარეკორდო თანხად, „სევილიამ“ პსვ-დან არუნა კონე შეიძინა. უეფას თასის ორგზის მფლობელმა კლუბმა კოტდივუარელ ფორვარდში 12 მილიონი ევრო გადაიხადა, ფეხბურთელმა კი 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „სევილიაში“ თავდამსხმელების სიჭარბეა და ალბათ ხავიერ ერნესტო ჩევანტონს გაანათხოვრებენ.

# ჯონსონი ბელეტიმ გაყიდა

**„ჩელსის“** მცველი გლენ ჯონსონი „პორტსმუთში“ გადავიდა. პორტელებს 23 წლის ფეხბურთელი 3 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. ჯონსონმა 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი წინა სეზონშიც იყო განათხოვრებული „პორტსმუთში“ და 28 მატჩი ითამაშა. „ჩელსიმ“ ჟულიანო ბელეტი იყიდა „ბარსადან“ და ჯონსონი აღარ სჭირდებოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**


AFP

# კიდევ საჭაშნიკე ტური
## სარდინიაზე რანიერის გამოცდა ელის

# იტალია

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ემპოლი | : | ინტერი |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | : | პარმა |
| კალიარი | : | იუვენტუსი |
| კატანია | : | ჯენოა |
| ლივორნო | : | პალერმო |
| რომა | : | სიენა |
| სამპდორია | : | ლაციო |
| ტორინო | : | რეჯინა |
| უდინეზე | : | ნაპოლი |
| **ზეგ** | | |
| მილანი | : | ფიორენტინა |

**სერია A-ს** მეორე ტურში ჩემპიონი „ინტერი“ ემპოლიში ჩადის, რათა დაამტკიცოს, რომ პირველ ტურში ფეხი სრულიად შემთხვევით დაუცდა. თუმცა გეგმების და სურვილების გარეშე არც „ემპოლია“ — გუნდმა, რომელიც ისტორიაში პირველად გამოდის ევროპულ შეჯიბრებაში, ერთი კვირის წინ „ფიორენტინასთან“ წააგო, რაც მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას კარგად ნამდვილად არ დაემჩნეოდა. ერთი სიტყვით, ევროთამაშების წინ, „ემპოლის“ თავის გამოჩენა მართებს, თუმცა „ინტერთან“ თავის გამოჩენას იქნებ ისევ პირდაპირ უეფაზე თავის გამოჩენა სჯობდეს.

„მილანი“ „ფიორენტინას“ მასპინძლობს, მაგრამ ეს შეხვედრა ორშაბათისთვის არის გადატანილი. მიზეზი: „მილანმა“ გუშინ ევროპის სუპერთასზე ითამაშა მონაკოში, „სევილიასთან“.

საინტერესოა, რომ „მილანმა“ და „ფიორენტინამ“ გასულ სეზონში ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს: პირველ წრეში, „არტემიო ფრანკიზე“ 2:2 გამოუვიდათ, ხოლო მეორეში, „სან სიროზე“ 0:0, მაგრამ ფლორენციელებს მაინც უფრო ცუდად აქვთ საქმე, რადგან „სან სიროზე“ ტრადიციულად უჭირთ. მაგალითად, 2006-ში „იებმა“ ამ სარბიელზე 1:3 წააგეს, 2005-ში 1:6, ხოლო 2001-ში 2:5.

„რომა“ „სიენას“ მასპინძლობს და, ალბათ სამ ქულას ხელიდან არ გაუშვებს, მაგრამ მისთვისვე კარგი იქნება, თუ არ დაავიწყდება, რომ ნებისმიერ სუსტ მეტოქესთან და მით უფრო „სიენასთან“ შეიძლება ფეხის წატეხვა და ამის დაშვება არ შეიძლება.

ზოგადად, მოგეხსენებათ, სეზონის დასაწყისში დაკარგული თუ მოპოვებული თითოეული ქულა ბოლოს ფრიად გაზვიადებულ მნიშვნელობას იძენს ხოლმე, მით უფრო, რომ „ჯალოროსის“ პირველი 10 კვირის განმავლობაში სათამაშო აქვს „იუვენტუსთან“, „ფიორენტინასთან“, „ინტერთან“, „მილანთან“ და „ლაციოსთან“.

სარდინიაზე „კალიარის“ დაეჭიდება „იუვენტუსი“ — პირველი სტუმრობა სერია B-ში სასჯელის მოხდის შემდეგ.

მოგეხსენებათ, პირველ ტურში „ბებერმა ქალბატონმა“ თვალისმომჭრელი ანგარიშით, 5:1 მოუგო „ლივორნოს“, რაც, როგორც თავად მისმა ფეხბურთელებმა განაცხადეს, უმაღლეს ლიგაში რიხიანად დაბრუნებისთვის იყო აუცილებელი, მაგრამ კარგ სტარტს კარგი გაგრძელებაც სჭირდება. ერთი სიტყვით, იტალიელი ჟურნალისტების აზრით, ამ შეხვედრაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, შესწევს თუ არა „იუვეს“ „ინტერთან“, „რომასა“ და „მილანთან“ ჭიდაობის უნარი — სერია A-ს პირველობა ხომ ერთი მატჩისგან არ შედგება და ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად სათამაშო რამ გახლავთ.

„იუვენტუსის“ შესამოწმებლად მაინც და მაინც „კალიარიც“ იმიტომ არის კარგი, რომ სარდინიელებმა პირველ დღეს პირველი იტალიური სიურპრიზი შესთავაზეს მაყურებელს — ნეაპოლში გაიმარჯვეს 2:0, რასაც არავინ ელოდა.

**ბაჩუნა ძიძია**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 5:1 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 2 | მილანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 3 | ფიორენტინა | | | | | | | | | | | | | | | | 3:1 | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | კალიარი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5 | რომა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 6 | სამპდორია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 7 | კატანია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 8 | პარმა | | | | | | | 2:2 | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | ტორინო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 10 | ლაციო | | | | | | | | | 2:2 | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | ატალანტა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 12 | უდინეზე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 13 | ინტერი | | | | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 14 | რეჯინა | | | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 15 | სიენა | | | | | | 1:2 | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 16 | ემპოლი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| 17 | პალერმო | | | | | 0:2 | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 18 | ნაპოლი | | | | 0:2 | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 19 | ჯენოა | | 0:3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 20 | ლივორნო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |



# ატლეტიკომ მოტა შეიმატა

ტიაგო მოტა მადრიდის „ატლეტიკოში" გადავიდა. ყველაფერი კი პეტერ ლუქსენის „სარაგოსაში" წასვლამ გადაწყვიტა, რადგან ფრანგი არაგონის მთავარ გუნდში გაასხვისეს, „ატლეტიკოს" მესვეურებმა მოედნის ცენტრში მის შემცვლელს დაუწყეს ძებნა და „ბარსელონას" ფეხბურთელამდე მივიდნენ.

თავიდან მადრიდელთა ფავორიტი მექსიკელი რაფაელ მარკესი იყო, თუმც „ბარსელონა" ოკეანისგაღმელის გაცემაზე სასტიკ უარზე წავიდა — ფრანკ რაიკარდმა განაცხადა, რომ მარკესი კატალონიური გუნდისთვის შეუცვლელია. „ატლეტიკომაც" მეორე ფავორიტი, მოტა არჩია.

ყოფილი ბარსელონელი მადრიდში გუშინწინ ჩავიდა. ჟურნალისტებთან მოტა ენაწყლიანი არ ყოფილა, მხოლოდ ეს თქვა, „ატლეტიკო" ძალიან მომწონს და მწვრთნელი სადაც მიმითითებს, იქ ვითამაშებო. მან დედაქალაქურ გუნდთან ხელშეკრულება გააფორმა, სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და თეთრ-ალისფერი ფორმაც მოირგო. იგი ერთი წლით ითამაშებს „ატლეტიკოში".

ვითარება მოითხოვდა, რომ ტიაგო მოტას „კამპ ნოუ" დაეტოვებინა, რადგან იტალობრაზილიელს მწვრთნელი არ სწყალობდა და მას მხოლოდ ორი არჩევანი ჰქონდა — ან იტალიურ „რომაში" წასულიყო, ანაც მადრიდის „ატლეტიკოში". საბოლოოდ ფეხბურთელი ესპანეთის სატახტოში ჩავიდა, ოღონდ არა თავისუფალი აგენტის სტატუსით.

„ვერ [illegible] სუფლა „ბარსამ" ერთი ფეხბურთელი, როცა მეორეს ამაზე უარი უთხრა" — დაიჩივლა მოტამ („ბარსელონამ" ჰოლანდიელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი თავისუფალ აგენტად გაუშვა, მოტა კი არა).

ფრანკ რაიკარდის ყოფილი შეგირდი „ატლეტიკოში", წესით, საყრდენ ნახევარმცველად უნდა ითამაშებინათ, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, ცენტრალურ მცველად გამოწესებენ.

„მოტა შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელიც გუნდს სჭირდება" — განაცხადა „ატლეტების" მწვრთნელმა ხავიერ აგირემ.

**ლადო ხომერიკი**

# ესპანეთი

## ეტოოს ტრავმა ანრის შანსია

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სარაგოსა | : | რასინგი |
| ლევანტე | : | მურსია |
| **ხვალ** | | |
| ბარსელონა | : | ბილბაო |
| ატლეტიკო | : | მალიორკა |
| ვილიარეალი | : | რეალი |
| ალმერია | : | ვალენსია |
| ვალიადოლიდი | : | დეპორტივო |
| ბეტისი | : | ესპანიოლი |
| ხეტაფე | : | უელვა |
| **გადაიდო** | | |
| ოსასუნა | : | სევილია |



AFP

**ესპანეთი** ჯერაც შოკშია ანტონიო პუერტას უეცარი გარდაცვალების შემდეგ. ამ გულღია ახალგაზრდა კაცის სიკვდილმა პირინეებზე ყველას და ყველაფერს მწუხარების დაღი დაასვა და ამიტომაც, იქაური პრიმერადივიზიონის მეორე ტურის მატჩები სევდიანი ცერემონიალის გარეშე არ ჩაივლის — ყველა სტადიონზე გუნდები და მათი გულშემატკივრები მატჩების დაწყების წინ სევილიელს წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ.

დღეს ორი თამაშია — „სარაგოსა" „რასინგს" მასპინძლობს, ხოლო შოთა არველაძის „ლევანტე" „მურსიას". ვიქტორ ფერნანდესის „სარაგოსა" პირველ ტურში მოულოდნელად „მურსიასთან" დამარცხდა და ახლა შინაურ „ლა რომარედაზე" სურს რეაბილიტაცია. ადგილობრივებს დაჯარიმებული მატუზალემი არ ეყოლებათ, ხოლო არაგონელთა დამჩოქებელი „მურსია" „ლევანტესთან" სრული შემადგენლობით იბურთავებს — ფერნანდო ბაიანოს მუხლი აწუხებდა, მაგრამ დროულად მოირჩინა.

ხვალ „ბარსელონა" „ბილბაოს" დაუხვდება. სამუელ ეტოო „ინტერთან" „გამპერის თასის" ამასწინანდელ მატჩში დაიმტვრა, სერიოზული ტრავმა მიიღო და ბურთს და მოედანს სულ ცოტა, ორი თვით ჩამოსცილდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კატალონიელთა ახალწვეულ ტიერი ანრის ძირითადში თამაშის შანსი მიეცემა. რონალდინიო და მესიც სასტარტო თერთმეტეულში იქნებიან. ბარსელონელთა შემადგენლობაში შეიძლება, ახალგაზრდა ვარსკვლავი ჯოვანი დოს სანტოსიც გამოჩნდეს.

„ვილიარეალთან" გასულ კვირას პირშერცხვენილი „ვალენსია" „ალმერიას" სტუმრობს, ხოლო ამ უკანასკნელთან პირველ ტურში 0:3 გაბდღვნილი „დეპორტივო" — ხოსე ლუის მენდილიბარის „ვალიადოლიდს". ვალენსიელთაგან მოედანზე შესაძლოა, „რასინგიდან" წლეულს გადასული გიგანტი სერბი ნიკოლა ჟიგიჩი ვიხილოთ, ხოლო „ვალიადოლიდს", სავარაუდოდ, ტრავმამოშუშებული ოსკარ სანჩესი დაუბრუნდება.

„ბეტისს" „ესპანიოლთან" ალბათ დაშავებული ედუსა და მარკ გონსალესის გარეშე მოუწევს ბრძოლა, ხოლო ბარსელონელებს „მანუელ რუის დე ლოპერაზე" ნახევარმცველი ფრანსისკო რუფეტე დააკლდებათ — მას მარცხენა ფეხის კოჭი აწუხებს. ამ ფეხბურთელის გარდა, „ესპანიოლიდან" ტრავმის გამო ვერ იბურთავებენ კაპიტანი რაულ ტამუდო და ივან დე ლა პენია. დავიდ გარსიაც ავადაა.

მადრიდული „ხეტაფე" შინაურ „კოლიზეუმზე" „უელვასთან" ითამაშებს, ხავიერ აგირეს „ატლეტიკო" კი — „მალიორკასთან". გრეგორიო მანსანო „მალიორკას" „ვისენტე კალდერონზეც" იმ შემადგენლობას ჩაიყვანს, რომლითაც პირველ ტურში „ლევანტე" 3:0 დაამარცხა. ალბათ კუნძულელთა გუნდში ურუგვაელი გონსალო კასტროს დებიუტიც შედგება, მასპინძელი „ატლეტიკო" კი, სავარაუდოდ, ტრავმირებულ მცველ ფაბიანო ელერს მოისაკლისებს.

„ოსასუნა" — „სევილია" ანტონიო პუერტას გარდაცვალების გამო ჯერჯერობით გაურკვეველი ვადით გადაიდო. საქმე ისაა, რომ ეს შეხვედრა წესით, ორშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ ორშაბათს „სევილიას" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩი ელის ბერძნულ აეკ-თან.

ბერნდ შუსტერის „რეალი" კი ხვალ ძალებს „ვილიარეალთან" მოსინჯავს. ეს გუნდები ერთმანეთს პრიმერაში სულ 16-ჯერ შეხვდნენ, აქედან 9 მატჩი „რეალმა" მოიგო, 6 ფრედ დასრულდა და ერთში „ყვითლებმა" იმარჯვეს. „ელ მადრიგალზე" „რეალის" პირველი სალიგო სტუმრობა 1999 წლის 30 ივნისს შედგა და მადრიდელთა გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. ისე, „ვილიარეალს" 2007 წლის 15 აპრილის შემდეგ შინ თამაში არ წაუგია (მაშინ „ხეტაფესთან" დამარცხდა). „რეალს" კი „ელ მადრიგალზე" ტრავმირებული კლეპერ პეპე არ ეყოლება.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სევილია | | | | | | | | | | | | | | | | | 4:1 | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 2 | ვილიარეალი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 3 | მალიორკა | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3:0 | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | ალმერია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 5 | რეალი | | | | | | | | | | | | | | | 2:1 | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6 | მურსია | | | | | | | | | | | | | | 2:1 | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 7 | ვალიადოლიდი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 8 | უელვა | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | ბეტისი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 10 | ბარსელონა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 11 | რასინგი | | | | | | | | | | 0:0 | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 12 | ოსასუნა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 13 | ბილბაო | | | | | | | | | | | | 0:0 | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 14 | სარაგოსა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 15 | ატლეტიკო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 16 | ესპანიოლი | | | | | | | 0:1 | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 17 | ხეტაფე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| 18 | დეპორტივო | | | | 0:3 | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 19 | ლევანტე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| 20 | ვალენსია | | 0:3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

| დრო | № | შეხვედრა | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 1 | ბოლტონი-ევერტონი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 18:00 | 2 | ფულჰემი-ტოტენჰემი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 18:00 | 3 | ლივერპული-დერბი | 1.20 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.88 |
| 18:00 | 4 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 18:00 | 5 | ნიუკასლი-უიგანი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 6 | რედინგი-ვესტ ჰემი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 20:15 | 7 | მანჩესტერი-სანდერლენდი | 1.20 | 5.70 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 16:30 | 8 | არსენალი-პორტსმუთი | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| 18:00 | 9 | ბლეკბერნი-სიტი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 10 | ასტონ ვილა-ჩელსი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 15:45 | 11 | უენსდეი-ბრისტოლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 13 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 14 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 15 | ნორვიჩი-კარდიფი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 16 | პლიმუთი-ლესტერი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 17 | ქპრ-საუთჰემპტონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 18 | სკანთორპი-შეფილდი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 19 | სტოუკი-ვულვერჰემპტონი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 20 | უოტფორდი-იპსვიჩი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 21 | ვესტ ბრომვიჩი-ბერნლი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 20:15 | 22 | ქოვენტრი-პრესტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | 3 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 12 | ბლეკპული-ჰალი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 23 | ბორნმუთი-პორტ ვეილი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 24 | ბრაიტონი-საუთენდი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 25 | როვერსი-ნოტინგემი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 18:00 | 26 | კარლაილი-ჩელტენჰემი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 27 | ჯილინგემი-უოლსოლი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 28 | ჰარტლპული-ოლდემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 29 | ლიდსი-ლუტონი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 30 | ლეიტონი-ნორთჰემპტონი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 31 | მილუოლი-ჰადერსფილდი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 32 | სუონსი-დონკასტერი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 33 | სუინდონი-კრიუ | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 34 | იოვილი-ტრანმერი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 35 | აკრინგტონი-პეტერბორო | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 18:00 | 36 | ბარნეტი-ბრედფორდი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 18:00 | 37 | ბერი-ბრენტფორდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 38 | ჩესტერფილდი-უიკომბი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 39 | დაგ ენდ რედი-ლინკოლნი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 40 | მაკლსფილდი-დარლინგტონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 41 | მენსფილდი-სტოკპორტი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 42 | ნოტსი-მორკამბი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 43 | როჩდეილი-დონსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 44 | როტერჰემი-ჩესტერი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 18:00 | 45 | შრუსბერი-გრიმსბი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 18:00 | 46 | რექსემი-ჰერეფორდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 60 | ალტრინჩემი-ალდერშოტი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 18:00 | 61 | ქროული-ბარტონი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 62 | დროილსდენი-გრეისი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 | 63 | ებსფლითი-სტივენიჯი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 64 | ფარსლი-ნორთვიჩი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 65 | ჰისტონი-სალისბერი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 66 | კიდერმინსტერი-ექსეტერი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 67 | ოქსფორდი-ჰალიფაქსი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 18:00 | 68 | ტორკი-სტ.რეინჯერსი | 1.35 | 4.20 | 7.40 | 1.02 | 1.14 | 2.67 |
| 18:00 | 69 | უოკინგი-ფორესტ გრინი | 2.30 | 3.35 | 2.65 | 1.36 | 1.23 | 1.47 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 74 | დანდი იუნაიტედი-ფოლკერკი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 18:00 | 78 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 18:00 | 79 | კილმარნოკი-აბერდინი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 81 | რეინჯერსი-გრეტნა | 1.13 | 6.30 | 18.00 | 1.00 | 1.06 | 4.66 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 82 | სტ.მირენი-სელტიკი | 8.20 | 3.80 | 1.40 | 2.59 | 1.19 | 1.02 |
| | | 3 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 80 | მაზერველი-ჰართსი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 83 | კლაიდი-დანდი | 3.20 | 3.60 | 1.90 | 1.69 | 1.19 | 1.24 |
| 18:00 | 85 | მორტონი-ქუინი | 1.90 | 3.50 | 3.20 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 18:00 | 86 | პარტიკი-ჰამილტონი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 18:00 | 87 | სტირლინგი-ლივინგსტონი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 84 | დანფერმლაინი-სტ.ჯონსტონი | 1.95 | 3.40 | 3.20 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 88 | ეარი-ალოა | 1.75 | 3.60 | 3.55 | 1.17 | 1.17 | 1.78 |
| 18:00 | 89 | ბრეჩინი-კოუდენბითი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| 18:00 | 90 | პეტერჰედი-ბერვიკი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 18:00 | 91 | ქუინზ პარკი-რეითი | 2.55 | 3.40 | 2.25 | 1.45 | 1.19 | 1.35 |
| 18:00 | 92 | როსი-ერდრი | 2.20 | 3.40 | 2.70 | 1.33 | 1.21 | 1.50 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 93 | ალბიონი-ისტ სტერლინგი | 2.30 | 3.40 | 2.55 | 1.37 | 1.20 | 1.45 |
| 18:00 | 94 | არბროთი-ელგინი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 18:00 | 95 | ისტ ფაიფი-ფორფარი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| 18:00 | 96 | სტენჰაუსმუირი-მონტროუზი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 18:00 | 97 | სტრანრაერი-დამბარტონი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 17:30 | 99 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 17:30 | 100 | დუისბურგი-არმინია | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 17:30 | 101 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 17:30 | 102 | ჰანზა-დორტმუნდი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 17:30 | 103 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 17:30 | 104 | ვერდერი-აინტრახტი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 105 | ჰამბურგი-ბაიერნი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 19:00 | 106 | კარლსრუე-შტუტგარტი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 111 | კარლ ცაისი-მაინცი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 16:00 | 112 | ფიურტი-ზტ.პაული | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 16:00 | 113 | მიონხენგლადბახი-ოსნაბრიუკი | 1.50 | 3.55 | 5.75 | 1.05 | 1.18 | 2.19 |
| 16:00 | 114 | პადერბორნი-აუე | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 16:00 | 115 | კელნი-ალემანია | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| | | 3 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 116 | ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 117 | ალენი-კოტბუსი(მ) | 1.75 | 3.25 | 3.80 | 1.13 | 1.19 | 1.75 |
| 16:00 | 118 | დორტმუნდი(მ)-ვერდერი(მ) | 2.20 | 3.10 | 2.75 | 1.28 | 1.22 | 1.45 |
| 16:00 | 119 | დიუსელდორფი-ჰამბურგი(მ) | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 16:00 | 120 | ემდენი-ვუპერტალი | 2.25 | 3.10 | 2.70 | 1.30 | 1.22 | 1.44 |
| 16:00 | 121 | ლიუბეკი-კილი | 1.45 | 3.70 | 5.45 | 1.04 | 1.14 | 2.20 |
| 16:00 | 123 | ვოლფსბურგი(მ)-ესენი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 122 | ობერჰაუზენი-დინამო | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| 16:00 | 124 | ბაბელსბერგი-ერფურტი | 2.70 | 3.15 | 2.20 | 1.45 | 1.21 | 1.29 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 128 | ელვერსბერგი-ბაიერნი(მ) | 2.50 | 3.15 | 2.40 | 1.39 | 1.22 | 1.36 |
| 16:00 | 129 | ფრანკფურტი-ხოფენჰაიმი | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 16:00 | 130 | რეგენსბურგი-ფულენდორფი | 1.60 | 3.45 | 4.45 | 1.09 | 1.17 | 1.94 |
| 16:00 | 131 | მიუნხენი1860(მ)-ოგერშეიმი | 1.60 | 3.40 | 4.45 | 1.08 | 1.17 | 1.92 |
| 16:00 | 132 | კიკერსი-ჰესენი | 1.65 | 3.30 | 4.30 | 1.10 | 1.19 | 1.86 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 133 | უნტერჰახინგი-კარლსრუე(მ) | 1.50 | 3.50 | 5.20 | 1.04 | 1.16 | 2.09 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 17:30 | 135 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 20:00 | 136 | აუსტრია-აუსტრია კ | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 20:00 | 137 | შტურმი-რაპიდი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 20:00 | 138 | ტიროლი-რიდი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 17:30 | 145 | ლუსტენაუ-აუსტრია ლ | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 19:45 | 146 | აარაუ-ციურიხი | 4.30 | 3.40 | 1.75 | 1.89 | 1.24 | 1.15 |
| 19:45 | 147 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 148 | ბაზელი-თუნი | 1.25 | 5.20 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.22 |
| 18:00 | 149 | იანგ ბოიზ-სტ.გალენი | 1.70 | 3.60 | 4.30 | 1.15 | 1.21 | 1.95 |
| | | 3 სექტემბერი | | | | | | |
| 21:45 | 150 | ლუცერნი-სიონი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 152 | ჩიასო-კონკორდია | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 19:30 | 153 | ვოლენი-ვინტერთური | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 20:00 | 154 | ლოზანა-შო დე ფონი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 20:00 | 155 | ვილი-სერვეტი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 20:00 | 156 | ივერდონი-დელემონი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 21:30 | 157 | ბელინცონა-კრიენსი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 21:30 | 158 | ვადუცი-ლოკარნო | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 159 | კიასო-ლუგანო | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 160 | ემპოლი-ინტერი | 7.50 | 3.60 | 1.45 | 2.43 | 1.21 | 1.03 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 161 | ატალანტა-პარმა | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 17:00 | 162 | კალიარი-იუვენტუსი | 5.50 | 3.30 | 1.65 | 2.06 | 1.26 | 1.10 |
| 17:00 | 163 | კატანია-ჯენოა | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 17:00 | 164 | ლივორნო-პალერმო | 2.90 | 2.90 | 2.50 | 1.45 | 1.34 | 1.34 |
| 17:00 | 165 | რომა-სიენა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 17:00 | 166 | ტორინო-რეჯინა | 1.80 | 3.10 | 4.80 | 1.13 | 1.30 | 1.88 |
